საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 13 აპრილი, 2010 წელი.

№67 (6433)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



ლეხ ვალენსა: პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი ვიღაცის მითითებებით მოქმედებდა

2

ილია მეორემ პოლონელ ხალხს მიუსამძიმრა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პოლონელ ხალხს მიუსამძიმრა.

პატრიარქმა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

უწმინდესი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მეუფე გერასიმესთან და სასულიერო პირებთან ერთად მიბრძანდა.

ილია მეორემ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მყოფ პოლონეთის ელჩს საქართველოში ურშულა დოროშევსკასაც მიუსამძიმრა.

ან ავლილი ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ, ბატონო მიხეილ?

3

რამ შეიწირა ცხონებული ლეხ კაჩინსკი და რისგან ვართ დაზღვეულები!

ოპოზიცია საკაშვილს მასობრივი მღელვარებით დამუქრა

8

რუსულ-ამერიკული ალიანსის ქართული შემადგენელი

5

სანამ უნდა აცუცურაკებდეს და ატყავებდეს ხალხს „სამი ვეშაპი?“

5

Beeline

„...სათაფლიაზე ორი კვალია...“



7

◎ კატასტროფა

ლეხ ვალენსა: პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი ვილაცის მითითებებით მოქმედებდა



პოლონეთის პრეზიდენტის სამთავრობო თვითმფრინავი, რომელიც სმოლენსკთან ჩამოვარდა, შესაძლოა „ვილაცის მითითებებით მოქმედებდა“, მიიჩნევს პოლონეთის ექს-პრეზიდენტი ლეხ ვალენსა.

მისი თქმით, პოლონეთის სამთავრობო ავიარაზმის პილოტები უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალები არიან.

— საეჭვოა, რომ ნისლის პირობებში პილოტს შეეძლო დამოუკიდებლად რამდენჯერმე ეცადა თვითმფრინავის დასმა, — აცხადებს ვალენსა.

ვალენსას თქმით, კატასტროფის მიზეზების საბოლოოდ გარკვევისთვის, აუცილებელია ოფიციალური, სპეციალური კომისიის დასკვნის დალოდება.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთის პრეზიდენტის ავიარაზმის მფრინავები მუდმივად მოქმედებდნენ დადგენილი წესების



მიხედვით. 2008 წლის აგვისტოში უსაფრთხოების გარანტიების არ არსებობის გამო სამთავრობო თვითმფრინავის მეთაურმა არ შეასრულა პრეზიდენტ კაჩინსკის მითითება და ავიალაინერი თბილისის აეროპორტის ნაცვლად ბაქოში დასვა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსის მოადგილის გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრ ალიოშინის განცხადებით, პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავის ეკიპაჟმა რამდენჯერმე არ შეასრულა „სმოლენსკის“ აეროპორტის ფრენების ხელმძღვანელის მითითებები.

— 1,5 კილომეტრის დაშორებით ხელმძღვანელობის ჯგუფმა შეამჩნია, რომ ეკიპაჟმა გაზარდა დაშვების ვერტიკალური სიჩქარე. ფრენების ხელმძღვანელმა ეკიპაჟს მისცა ბრძანება თვითმფრინავის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაყვანის შესახებ და როდესაც ეკიპაჟმა არ შეასრულა მითითება, რამდენჯერმე გაიცა ბრძანება სათადარიგო აეროდრომზე დაშვების თაობაზე, — განაცხადა ალიოშინმა.

— ამის მიუხედავად, ეკიპაჟი აგრძელებდა დაშვებას. სამწუხაროდ ეს ტრაგიკულად დასრულდა, — აღნიშნა რუსმა გენერალმა.

ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაზე ჩვენს დელეგაციას საქართველოს პრეზიდენტი უხელმძღვანელებს

სმოლენსკში ტრაგიკულად დაღუპული პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაზე საქართველოს დელეგაციას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უხელმძღვანელებს.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, დელეგაციის შემადგენლობა პოლონეთის პრეზიდენტის დაკრძალვის თარიღის დანიშვნის შემდეგ გახდება ცნობილი.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ლეხ კაჩინსკის სახელი დაერქმევა

ამის შესახებ ჟურნალისტებს დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ განუცხადა.



ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

მისივე განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით დედაქალაქის მერია საკრებულოს ოფიციალურად რამდენიმე დღეში მიმართავს.

* * *

თბილისის მოსწავლეთა სასახლეში ასობით თბილისელი მივიდა და სამგლოვიარო წიგნში საკუთარი ჩანაწერი გააკეთა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ცესკო

ამომრჩეველთა სიის მონიტორინგი მილიონზე მეტი დაჯდა

ამომრჩეველთა სიები ის ერთ-ერთი აპრობირებული საკითხია, რომელიც არჩევნებამდე და მას შემდეგაც მუდმივად იქნება მსჯელობისა და პრეტენზიების უცვლელი საგანი. ცესკოს ახალი თავმჯდომარე თავგამოდებით ცდილობს ამგვარი ნეგატიური დამოკიდებულების გაქარწყლებას, თუმცა არც თუ შედეგიანად. ცესკო ერთმანეთის მიყოლებით მართავს სხვადასხვა პროექტის პრეზენტაციას, საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების ნდობის მოსაპოვებლად, მაგრამ საგამოცდო ტესტის ჩაბარება მხოლოდ 30 მაისს არის შესაძლებელი.

10 აპრილს პოლიტიკურ პარტიებს ამომრჩეველთა სიის მონიტორინგის შედეგების ცესკოში წარდგენის ვადა ამოეწურათ. ამ პროცესში თითხმეტი კვალიფიციური თუ არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი იყო ჩართული და მათი ორთვიანი მუშაობისთვის ცესკოს ბიუჯეტიდან 1 მილიონ 200 ათასი ლარი გამოიყო, რომელიც თანაბრად გადანაწილდა. ქრისტიან-დემოკრატები, ნაციონალები, მრეწველები, კონსერვატორები, ხალხის პარტია, „ალიანსი საქართველოსთვის“, ქართული დასი, „ჩვენ თვითონ“, საქართველოს გზა, მამული, „სამართლიანი საქართველოსთვის“, მამულიშვილი, ხალხთა მეგობრობის პარტია — ეს სუბიექტები 5 თებერვლიდან ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი უზუსტობა ეპოვნათ საარჩევნო სიებში, თუმცა, როგორც ცესკოს თავმჯდომარე ამბობს, ყველაზე აქტიურები ამ მხრივ მრეწველები აღმოჩნდნენ.

თუ რა ხარვეზები აღმოაჩინეს სიებში, ამის შესახებ გუშინ „თბილისი მარიოტში“ **ზურაბ ხარატიშვილმა** ვრცლად ისაუბრა. ფაქტობრივ და რეგისტრაციის ადგილებს შორის განსხვავება, მცირე რაოდენობით გარდაცვლილები, დამისამართების პრობლემა, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლები და მონაცემთა უზუსტობა, — ეს ის ლაფსუსებია, რომელიც მუდმივად თან სდევს საარჩევნო სიებს და რომელსაც არც ცესკოს თავმჯდომარე უარყოფს, მაგრამ ირწმუნება, რომ დარღვევების არჩევნებამდე აღმოფხვრა პრობლემა არ არის. თავად ცესკოს წარმომადგენლებმაც 80 ათასამდე შეცდომა ჩაასწორეს. პრობლემა ძირითადად საალურად 3 მილიონ 580 ათასი ამომრჩეველი იყო, აქედან 3 მილიონ 432 ათასი საქართველოში ცხოვრობს. გამოდის, რომ სხვაობა 157 ათასია, ეს ციფრი საზღვარგარეთ წასული ადამიანების რაოდენობას ასახავს, თუმცა კი საკონსულო აღრიცხვაზე მხოლოდ 21 ათასი იმყოფება.



ერთი კვირის შემდეგ, 18 აპრილს ცესკო ასევე პრეზენტაციას გეგმავს, სადაც პასუხი გაეცემა ხელსა და გვარებს, დაბადების თარიღებს, მისამართებსა და ერთ ბინაში რეგისტრირებულ ათ და მეტ ამომრჩეველს შეეხებოდა. ხარატიშვილის ინფორმაციით, მაგალითად ბათუმში, გალაკტიონ ტაბიძის 75-ში 60 ადამიანია რეგისტრირებული, თუმცა ეს ადამიანები კატეგორიულ უარს აცხადებენ ამოწერაზე. ასეთი ფაქტები არის თბილისშიც, სადაც ერთ ბინაში 30-40 ადამიანია ჩაწერილი.

ცნობილია, რომ მემარჯვენეები და რესპუბლიკელები ხშირად საუბრობენ მილიონზე მეტი არარსებული ამომრჩევლის შესახებ, თუმცა ხარატიშვილი ამბობს, რომ ეს ციფრები გადაჭარბებულია. სამი თვის უწინდელი მონაცემებით, საქართველოში ოფიციყველა აღმოჩენილ ხარვეზს და საბოლოოდ დახვეწილ ვარიანტს წარმოადგენს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ამომრჩეველთა სიის ფორმირების მუდმივ თავსატეხად გარდაცვლილთა პრობლემა რჩება. ცნობისთვის, 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე გარდაცვლილთა რაოდენობამ 10 ათასი შეადგინა, რაც, ბუნებრივია, არჩევნებამდე სხვა ციფრს მიაღწევს.

ცესკოს ინფორმაციის სარწმუნო წყაროს წარმოადგენენ მონაცემები სამოქალაქო რეესტრიდან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან, საქალაქო სასამართლოებიდან, სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიდან.

ნია ფიფია

◎ ოპოზიცია

რისთვის სჭირდება გიორგი თარგამაძეს ახალი ალიანსი?

პასუხი მარტივია — გამარჯვებისთვის! წინასაარჩევნოდ უსახელო ალიანსის შექმნამ უკვე გამოიწვია რეზონანსი. „ქრისტიან-დემოკრატები“, „ჩვენ თვითონ“ და „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“ გაერთიანდნენ და გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე ზედმეტად თავდაჯერებულად განაცხადეს, რომ თვითმმართველობის არჩევნების მოსაგებად პოლიტიკური და ადამიანური რესურსები საკმარისად აქვთ.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ მრავალსუბიექტიან კოალიციაში ეროვნულ-დემოკრატებიც უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა გიორგი თარგამაძემ უარყო ყოველგვარი კონსულტაციები ამ პარტიასთან, რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატიულ სახალხო პარტიას, ის სულ ცოტა ხნის წინათ ჩამოყალიბდა და ალბათ, თუნდაც სახელიდან გამომდინარე, მოექცა თარგამაძის პარტიის ინტერესში.

როგორც გახსოვთ, ქრისტიან-დემოკრატებმა საპარლამენტო არჩევნებამდე სულ ორიოდე თვით ადრე აიღეს სტარტი და ბარიერის გადალახვაც ადვილად შეძლეს. მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებში ისინი პირველად მიიღებენ მონაწილეობას და ამ ჯერზეც გამარჯვებას ვარაუდობენ. როგორც ბრიფინგზე ითქვა, მაჟორიტარი კანდიდატების დასაკომპლექტებლად ავტორიტეტული ადამიანების მოზიდვას ეცდებიან. რაც შეეხება პარტია „ჩვენ თვითონს“, ის არც ისე ავტორიტეტულია, ხოლო რეიტინგით ბევრად ჩამოუვარდება ქრისტიან-დემოკრატებს. თავად გიორგი თარგამაძე კი მიიჩნევს, რომ „ჩვენ თვითონ“ ის ერთადერთი საპარლამენტო ოპოზიციური პარტიაა, რომელიც დევნილთა საკითხებს აქტიურად ლობირებს. **„ლტოლვილთა გაუსაძლისი ყოფა, ეს არის ერთ-ერთი წამყვანი პრობლემა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მთელი საქართველოს მასშტაბით, — აღნიშნავს გიორგი თარგამაძე, — ჩვენი საარჩევნო კამპანიის წარმოებისას დავინახეთ ის მწვავე პრობლემა, რომელიც დევნილებს უკავშირდება. მათი სოციალური ვითარებით პოლიტიკური პარტიების გააქტიურება კი მხოლოდ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხდება. ჩვენ კი გვგონია, რომ დალოდება არ ღირს. რაც შეეხება პარტიასთან „ჩვენ თვითონ“ თანამშრომლობას, ამის გამოცდილება არაერთხელ გვქონდა საპარლამენტო უმცირესობის ფორმატში, მრავალი პრობლემური საკითხი დაგვიყენებია ერთად. ხოლო ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის პლატფორმიდან გამომდინარე, უხერხულიც კი იქნებოდა ჩვენ ერთად არ ვყოფილიყავით“.**

თარგამაძე ამბობს, რომ ბლოკის შექმნის ინიციატორი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიაა. „ჩვენ თვითონ“ პარტიის ლიდერი **პაატა დავითაია** ადასტურებს, რომ ბლოკის შექმნის შესახებ კონსულტაციები დიდი ხანია მიმდინარეობს. **„პარტიის რეიტინგებს ამ შემთხვევაში აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რა შედეგებს მივაღწევთ“,** — ამბობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად საარჩევნო სუბიექტები გააქტიურდნენ. სიების ფორმირებამდე მათ ჯერ საკმარისი დრო აქვთ, რადგან ვადა თვის ბოლოს ეწურებათ. საინტერესოა, რომ თითოეული ბლოკიდან ათასზე მეტი მაჟორიტარი იბრძოლებს არჩევნებში გასამარჯვებლად.

თეა მოსია

◎ პოლიტწკიპურტები

ან ავლილი ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ, ბატონო მიხეილ?

გუშინწინ ტელევიზიით მოვისმინე, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის საქართველოდან იერუსალიმში ჩასულმა 45-მა პილიგრიმმა ისრაელს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა და, ვიდრე იქაური ხელისუფლება ამ საკითხს განიხილავს, ებრაული კანონმდებლობით მათ იქ დარჩენის უფლება აქვთო.

გული კიდევ ერთხელ დამეწვა და შემეკუმშა ამის გამგონს: **ამ მართლაც სამოთხის დარი ქვეყნიდან რად უნდა გარბოდნენ ადამიანები?**

მით უფრო დღეს, როდესაც თურმე დემოკრატიის შუქურა ქვეყანა ვართ და აქ ცხოვრებას არაფერი სჯობს?

არადა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ახლახან გამოქვეყნებული მოხსენებით სამშობლოდან საზღვარგარეთ სამუდამოდ წასვლის მსურველთა რაოდენობით **საქართველო თურმე მსოფლიოში პირველ ადგილზეა.**

მიხეილ სააკაშვილი კი აქამდეც ამტკიცებდა და ახლაც წარბშეუხრელად ადასტურებს, **ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოდან ბევრად მეტი წასული დაბრუნდა სამშობლოში, ვიდრე აქედან წავიდაო!**

ვინ გყავთ მხედველობაში, ბატონო მიხეილ? პოლონეთიდან სისტემატურად დეპორტირებულები? უკრაინის საზღვრიდან გამოძევებულები? არაბეთის უდაბნოში სამუშაოდ წასულები და ლამის იქაურ მონობას გაჭირვებით თავდახსნილები? ღირს ჩამოთვლის განგრძობა?..

თუ ამ კატეგორიის ადამიანებს გარდა საზღვარგარეთიდან საქართველოში მასობრივად დაბრუნებულნი მართლაც გინახავთ ან ავლილი ან ჩავლილი (გამონაკლისებს არ ვგულისხმობ, ცხადია), ღვთის გულისთვის, არ დაგვიმალოთ, ბატონო მიხეილ, გვითხარით, ცოტათი მაინც გამოგვიკეთეთ განწყობა!

ჩემთვის ცუდი იმის შეგრძნებაა, ადამიანები ნებისმიერ საბაბს, თვით ლოცვადმავლობასაც რომ იყენებენ საქართველოდან თავის დასაღწევად.

ყველაზე ცუდი კი მაინც ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლება იოტის ოდენადაც არ გრძნობს ამაში თავს დამნაშავედ.

ნუთუ ასეთი ფაქტები ჩაფიქრებისთვის მაინც არ უნდა განაწყობდეს მას?

თუმცა, მეც კარგი ვინმე ვარ, რა!..

რამ შეიწირა ცხონებული ლეხ კაჩინსკი და რისგან ვართ დაზღვეულები!

მეც ისევე, როგორც დარწმუნებული ვარ, მთელი საქართველო შეძრა ავიაკატასტროფაში ჩვენი ქვეყნის მეგობრის, პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩენსკის და მისი თანმხლები პირების დაღუპვამ.

ღმერთმა აცხონოს მათი სულები!

მე კი, იმედია, უფალი შემინდობს, რომ სწორედ ამ ტრაგედიამ, უფრო სწორად, მასთან დაკავშირებულმა ერთმა საყურადღებო ინფორმაციამ ამაღებინა კალამი.

იგი ცხონებული კაჩინსკის თვითმფრინავს ეხება.

როგორც ითქვა, პოლონეთის პრეზიდენტს მოძველებული და მრავალგზის გარემონტებული ტუ-154 მარკის თვითმფრინავი ემსახურებოდა. ამიტომაც პოლონეთის სეიმში ასევე მრავალგზის დამდგარა პრეზიდენტისთვის ახალი თვითმფრინავის შეძენის საკითხი. ისიც ითქვა, რომ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე ქვეყნის პრემიერ-მინისტრს უარი განუცხადებია ამაზე — ბიუჯეტში საამისოდ ფული არა გვაქვსო.

კიდევ ერთხელ ვითხოვ შენდობას მიცვალებულის სულის შეწუხებისთვის, მაგრამ დავიჯერო, თქვენც არ გენიშნათ ერთი საგულისხმო მომენტი, მკითხველო?

მხედველობაში პრეზიდენტის თვითმფრინავი მაქვს. კაჩინსკისა არა, ცხადია!

სმოლენსკში მომხდარი ტრაგედიის მიზეზები ჯერ არ დაუდგენიათ. შესაძლოა, იგი თვითმფრინავის გაუმართაობის ბრალიც იყოს, აეროპორტში ჩამოწოლილი დიდი ბურუს-ნისლისაც და ადამიანური ფაქტორისაც, მაგრამ **ფაქტი ის არის, რომ ამხელა ქვეყნის — ჩვენთვის საოცნებო ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოს პირველი პირი სამსახურებრივ თვითმფრინავს სეიმისა და ქვეყნის მთავრობის უნებართვოდ ვერ იძენდა.**

ჩვენთან კი!..

იმას კი არ ვამბობ, რომ ქვეყნის პრეზიდენტს არ ემსახურებოდეს საკუთარი გამართული თვითმფრინავი! პირიქით, იგი მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს, მაგრამ **მოვითხოვ, როგორც გადასახადის გადამხდელი და ამომრჩეველი, ვიცოდე, რა სახსრებით, რამდენად და ვისი ნებართვით შეიძინა მან იგი.**

ეს ახირება არ არის და ერთადერთი მიზნით მოვითხოვ: მინდა მართლაც ვირწმუნო, რომ, როგორც ჩემი ხელისუფლება მიმტკიცებს, მართლაც თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობ და არა, ვთქვათ, ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროინდელ საფრანგეთში, რომლის ერთპიროვნული მმართველი ღიად აცხადებდა — კანონი და სახელმწიფო მე ვარო!

ან, იქნებ, ის მაინც იცის ვინმემ, კონკრეტულად რამდენი დაჯდა და ბიუჯეტის რომელი მუხლით გამოყოფილი სასხრებით დაფინანსდა თუნდაც პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობა?

ხოლო თუ იმასაც ამიხსნის მავანი, ამ სიდუხჭირისას რატომ იყო ესოდენ აუცილებელი საამისოდ ასობით მილიონის დახარჯვა და რად არ შეიძლებოდა ქვეყნის სახელმწიფო კანცელარიიდან მართვა, მისი უღრმესი მადლობელი ვიქნები.

ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ გეხსომებათ, **პრეზიდენტად ახალარჩეული მიხეილ სააკაშვილი სახალხოდ ამბობდა, საზღვარგარეთ ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავებით ვივლი და საცხოვრებლადაც სამსახურის სიახლოვეს დაქირავებულ ჩვეულებრივ ბინაში გავჩერდები, რათა ბიუჯეტს ზედმეტ ტვირთად არ დავაწვეო!**

მერე რა მოხდა? მადა ჭამაში მოვიდა?

როგორც ჩანს, ასეა და განსაკუთრებით, ალბათ, მას მერე, რაც კახეთში ყოფნისას შეუზღუდავი ძალაუფლებით დამტკბარმა შექეიფიანებულმა სააკაშვილმა ტელევიზიით თქვა, — **რა კარგია პრეზიდენტობა, რასაც იტყვი, უმალ სრულდებაო!**

ცხადია, კარგია, თუ ამას მხოლოდ ძალაუფლებით ტკბობის კუთხიდან შეხედავ. თანაც, მით უფრო მაშინ, როცა არც სეიმის (ჩვენებური პარლამენტის) ნებართვა გადარდებს და, მით უმეტეს არც მთავრობა, რომლის ხელმძღვანელსაც როცა გინდა, მაშინ მოხსნი თუ გალახავ.

ეჰ, საწყალი ლეხ კაჩინსკი კი!..

თუ ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი კომისია დაადგენს, რომ იგი, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, თვითმფრინავის გაუმართაობის ბრალიც არის, დავასკვნი, რომ ცხონებული ლეხ კაჩინსკი ავიაკატასტროფაზე არანაკლებ თავისმა კანონმორჩილებამაც შეიწირა!

აი, ამ უკანასკნელისგან კი ნამდვილად დაცულები ვართ!

რუსლან რუსია

◎ შეხვედრა

საკითხი, რომელიც ოპოზიციას აერთიანებს

საქართველოში არსებული პოლიტპატიმრების და ასევე უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანების რიცხვით, ალბათ, ბევრი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა და დანარჩენი ევროპაც, რომლისკენაც ასე თავდაუზოგავად მივიწევთ, ვერ დაიკვეხნის. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალ ხელისუფლებასთან პირველი პრეტენზიები სწორედ ამის გამო გაჩნდა. დაიწყო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა და, როგორც ამბობენ, „წინა რეჟიმის გადმონაშთთა“ მასობრივი დევნა. შემდეგ იყო 2007 წლის ნოემბრის აქციები, მოგვიანებით კი 2009 წლის 9 აპრილი, რომლის შემდეგაც კიდევ ბევრი პოლიტიკური ფიგურა თუ მათი მხარდამჭერი აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. როგორც დღეს ოპოზიციური პარტიები და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, საქართველო პოლიციურ სახელმწიფოდ იქცა, რაც მოგეხსენებათ, დიდ ბარიერს ქმნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრებლად, რადგან მათი მთავარი მოთხოვნა სწორედ დემოკრატიული ღირებულებების და უმთავრესად ადამიანის უფლებათა მაქსიმალური დაცვაა.

უკვე დიდი ხანია ოპოზიციური პარტიები სისტემატურად მართავენ აქციებს ამა თუ იმ სახელმწიფო უწყებასთან და საელჩოებთან უკანონოდ დაპატიმრებულთა გათავისუფლების მოთხოვნით, რასაც, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა საკითხიც ემატება. როგორც ჩანს ამ საქმეში ახალი სახალხო დამცველიც ჩაერთო, იმის მიუხედავად, რომ გუშინ მის ოფისში ჩატარებულ შეხვედრაში არც მონაწილეობა მიუღია და არც გამოჩენილა. სამაგიეროდ იქ იმყოფებოდა ყოფილი ომბუდსმენი და ამჟამად „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრი და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი სოზარ სუბარი, რომელიც სახალხო დამცველად მუშაობის პერიოდშიც გამოირჩეოდა ხელისუფლების მიმართ მკვეთრი გამონათქვამებით. მის ყველა მოხსენებაში უპირველესი ადგილი უკანონოდ დაპატიმრებულთა საკითხს ეჭირა.

ის შესაშური ერთიანობა, რომელიც გუშინ საზოგადოებამ სახალხო დამცველის ოფისში გამართულ ოპოზიციურ პარტიათა (მათ შორის საპარლამენტო) და არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრაზე იხილა, ჯერჯერობით მხოლოდ ერთი საკითხის გამო მოხდა — სოლიდარობა უკანონო პატიმრებს. შეხვედრაზე გაავრცელეს მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, რომელსაც ყველა დამსწრე პარტიამ მოაწერა ხელი. მიმართვა ეკა ბესელიას შვილისა და ძმის დაპატიმრებას და უახლოეს ხანში დაგეგმილ სასამართლო პროცესს ეხებოდა. „მიმდინარე წლის 16 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამარლთოში გაიმართება ეკა ბესელიას არასრულწლოვანი შვილის რატი მილორავასა და ძმის სერგო ბესელიას სასამართლო პროცესი და გამოცხადდება საბოლოო განაჩენი.

ამ საქმეს საქართველოს არასამთავრობო და უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა პოლიტიკური ანგარიშსწორების სტატუსი მიანიჭეს.

მართლაც, ყოველგვარ ზღვარს სცილდება სისასტიკისა და შურისძიების ის ფორმა, რომელიც ხელისუფლებამ გამოიყენა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ შვილისა და ძმის მიმართ ანგარიშსწორების ფორმით.

ვინაიდან გვაქვს პირველი ინსტანციის (ბათუმის საქალაქო სასამართლოს) მიერ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის მაგალითი და ასევე ცნობილია პროკურატურის პოზიცია, რომელიც განაჩენის ძალაში დატოვებას ითხოვს, ჩვენ, საქართველოს არასამთავრობო, უფლებადამცველი ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები მოგმართავთ თხოვნით, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა ბერკეტი და რესურსი, რათა ხელისუფლებამ შეწყვიტოს პოლიტიკური ზეწოლა სასამართლოზე და ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებით გაათავისუფლოს რატი მილორავა და სერგო ბესელია.

ამ მიმართვას ხელი მოაწერა ნინო ბურჯანაძემ, კობა დავითაშვილმა, ლევან გაჩეჩილაძემ, ინგა გრიგოლიამ, ჯონდი ბაღათურიამ, ზურაბ ტყემალაძემ, კახა შარტავამ, სოსო შატბერაშვილმა და სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც მართალია, კმაყოფილი იყო, რომ ოპოზიციამ რაღაც საკითხზე მაინც მოახერხა შეთანხმება, მაგრამ თავის კომენტარში მაინც „უკბინა“ პარლამენტარ კოლეგებს დეპუტატის მანდატზე უარის არ თქმის გამო და ნიშნის მოგებით დასძინა, ხომ შეხვედით პარლამენტში, ჰოდა გაათავისუფლეთ უკანონო პატიმრები. უხერხული სიტუაციის გამოსწოროება შემდეგმა გამომსვლელებმა სცადეს, თუმცა საპარლამენტო ოპოზიციამ სალომე ზურაბიშვილთან დებატებში ჩართვა დროებით გადადო.

რაც შეეხება უკანონო პატიმრებს, მათი გათავისუფლების მოთხოვნით 15 აპრილს რუსთაველის გამზირზე მასშტაბური აქცია გაიმართება, რითაც კიდევ ერთხელ შეეცდებიან ხმა მიაწვდინონ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში გამეფებული უსამართლობის აღმოსაფხვრელად.

ანა წიწილაშვილი

◎ ინფორმაცია

წლიური ინფლაცია მარტში 5.8 პროცენტია

წლიურმა ინფლაციამ მიმდინარე წლის მარტში 5.8 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი მიმდინარე წლის თებერვალში 5.6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2009 წლის მარტში 1.6 პროცენტი იყო.

ამასთან, რაც შეეხება ყოველთვიურ ინფლაციას, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა მარტში -0.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო გასული წლის ანალოგიურ პერიოდში იგი 0.4 პროცენტზე ფიქსირდებოდა.

2009 წელს ინფლაცია საქართველოში 3 პროცენტზე დაფიქსირდა. 2010-12 წლებში კი, მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 6 პროცენტს შეადგენს.

ХИ-ЭИЗ-ЭЕО

◎ თუ გული გულობს...

რატომ არ გვარდება პრობლემები

ზემოთ განხილული პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენს მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს, რაც არ უნდა სამართლიანად მივიჩნიოთ ისინი, სამწუხაროდ, განხორციელება არ უწერია. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ პრობლემების მუდმივად არსებობა ძალიან აადვილებს კრედიტორების მხრიდან სახელმწიფოებზე კონტროლს. უძირო ყულაბის თუ ფულის საჭრელი (ამჟამად, საბეჭდი) მანქანის მფლობელნი არც ერთ ზომას, რომელიც კი მათ ძალაუფლებას დაემუქრება ან შესუსტებას გამოიწვევს, არსად, არც ერთ სფეროში არ გაატარებენ. პირიქით, ისინი ყოველნაირად შეეცდებიან ამგვარი იდეების მქონე პირების თუ სახელმწიფოების დისკრედიტაციას — იქით გამოიყვანენ ასეთებს ადამიანის და ერების უფლებების დამრღვევად, მე თქვენ გეტყვით და, გაუჭირდებათ — მსოფლიოს წამყვანი პრესა-ტელევიზიის 95 პროცენტს ხომ სულ ექვსად-ექვსი კომპანია ფლობს!

ეს ასეა ნამდვილად, მაგრამ ფულის და, მაშასადამე, შესაბამისად ძალაუფლების მფლობელნი იმასაც კარგად ხედავენ, რომ მხოლოდ პრესა-ტელევიზიით ზეწოლა არასაკმარისია უკვე დღეს, რომ ინტერნეტით სრული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას ფართო მასების გამოფხიზლება-თვალის ახელა მოსდევს. ამიტომ უკვე მეოცე საუკუნის ბოლოდან ისეთი საერთაშორისო კანონების (და შესაბამისის — ცალკეულ სახელმწიფოებში) მიღება დაიწყეს, რომლებიც მათი ინტერესების მოწინააღმდეგე ნებისმიერი პიროვნების დასჯას ითვალისწინებს.

ეს კანონები, ძირითადად 21-ე საუკუნეში მიღებული, ადამიანებს უკრძალავენ საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვას, სამეცნიერო კვლევის თუ გამოძიების ჩატარებას და ინფორმაციის თავისუფლად მიღება-გავრცელებასაც იმ თემებზე, რომლებიც განსაზღვრული კატეგორიის ხალხისთვის მიუღებელია სამსჯელოდაც კი!

დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანით — ინტერნეტთან დაკავშირებულით. ინტერნეტი სულ ახალი ფეხადგმულია, მაგრამ სწორედ ინტერნეტის წყალობით იმდენი რამ გაიგო მსოფლიოს მოსახლეობამ ათ წელიწადში, განსაკუთრებით კი ბოლო ხუთი წლის მანძილზე, რაც მას საუკუნეების განმავლობაში არ სმენია. ვგულისხმობ იმ უზარმაზარ დოკუმენტურ მასალას — წიგნების, სტატიების და ფილმების სახით, რომელიც ხელმიუწვდომი იყო რიგითი მკითხველისთვის (განსაკუთრებით, ჩვენთან — ყოფილ საბჭოთა კავშირში) და, რა თქმა უნდა, ყოველდღიურ ახალ ამბებსაც. ადამიანი აღარაა მიჯაჭვული მხოლოდ ტელევიზორის ეკრანს ან პრესას, და მას შეესაძლებლობა აქვს ალტერნატიული წყაროების მეშვეობით გადაამწმოს არამარტო საკუთარი ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაცია და ვერსია, არამედ დემოკრატიულად წოდებული საინფორმაციო საშუალებების მიერ ხშირად ტენდენციურად გაშუქებული მოვლენებიც. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერზე და, შესაბამისად, ინტერნეტზე ჯერ კიდევ არ მიუწვდება ხელი ასობით მილიონ ადამიანს, უკვე გამოჩნდა (სულ რამდენიმე წელიწადში!), რომ ინტერნეტი უდიდესი საფრთხის შემცველია იმათთვის, ვისაც მსოფლიოზე ბატონობისთვის ხალხის სათანადო დამუშავება, მათი ტვინების გამორეცხვა ესაჭიროება, და ვისთვისაც **თავისუფალი ინტერნეტი საწამლავის ანტიდოტივითაა;** მათ ხელში არსებული წამყვანი პრესა-ტელევიზიის სააგიტაციო ეფექტი ინტერნეტმა საგრძნობლად შეასუსტა და, ამიტომაც, თავის გადასარჩენ სასწრაფო ზომებს იღებენ.

ბრიტანეთის პოლიციას სულ ერთი წლის წინათ ოფიციალურად მიეცა ნება სასამართლოს სანქციის გარეშე(!) შეამოწმოს, თუ რა ინფორმაციას ღებულობს ან აგზავნის ესა თუ ის მოქალაქე ინტერნეტით, ანუ **მოქალაქეების პირადი წერილების გახსნის(!) უფლება, რაც ყველა დროში და ყველა სახელმწიფოში სამარცხვინოდ ითვლებოდა, იგი ქურდობასთან იყო გათანაბრებული!** ახლა კი აქეთ გვადებენ ვალს: თქვენს მიმოწერას ისევ თქვენი უსაფრთხოებისთვის ვკითხულობთ და მადლობა უნდა გვითხრათო! ამაზე შორს ცინიზმი, ალბათ, ვერ წავა. თანაც სად, სადღაც აფრიკის ჯუნგლებში კი არა, შუაგულ ევროპაში! ინგლისშივე შეიმუშავეს ინტერნეტის ცენზურის სქემა, რასაც ახარჯავენ 12 მილიარდ გირვანქას, და რომლის ძალითაც **ყველა იმეილი, ვებ-ძებნა, სმს-მესიჯები და სატელეფონო საუბრები თავს მოიყრის მონაცემების ცენტრალურ ბაზაში, რომელიც სადაზვერვო სამსახურს ეკუთვნის** (ასე რომ, რაც ჩვენთან ხდება, ეს არაა ვანო მერაბიშვილის „ნოუ-ჰაუ“, ამას დასავლეთს უნდა „ვუმადლოდეთ“).

ავსტრალიამ 2 300(!) ინტერნეტ-საიტი შეიტანა შავ სიაში, რომელთა მხოლოდ მონახულება (!) 11 000 დოლარით (!) ისჯება; ფინეთში კი იუსტიციის დეპარტამენტს მზადა აქვს კანონპროექტი (2010 წლის იანვარში), რომელიც ანალოგიური „დანაშაულისთვის“ ოთხწლიან ციხეს (!) ითვალისწინებს. ვიმეორებ, მხოლოდ ვებ-გვერდის გახსნისთვის! ანუ ზუსტად ისევე, და უფრო უარესადაც, ვიდრე ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო, როცა აკრძალული ლიტერატურის წაკითხვისთვის იჭერდნენ. უფრო უარესად კი იმიტომ, რომ კომუნისტებს აზრადაც არ მოსვლიათ თავიანთი უკანონო ქმედებების დაკანონება, დღეს **აკრძალული, აკრძალვა ეხება აბსოლუტურად ყველას — გამომძიებელი იქნება ეს, ჟურნალისტი თუ დაღუპულის ოჯახის წევრი. სამი ათასამდე დაღუპული ადამიანის ოჯახიდან მხოლოდ იმათ მიეცათ კომპენსაცია, რომლებიც ხელისუფლების მიერ წაყენებულ პირობას დათანხმდნენ — არ დაეწყოთ გამოძიება და ჩივილი. მხოლოდ სამმა(!) პროცენტმა განაცხადა უარი ასეთ კომპენსაციაზე და გამოძიებას ითხოვს, მაგრამ მათ მიერ მოპოვებული მასალები დღის სინათლეს ვერ ნახულობენ ვერც პრესით, ვერც ტელევიზიით და ვერც სასამართლოს მეშვეობით — 11 სექტემბრის მოვლენებზე ხმამაღალი მსჯელობა ყველას აკრძალული აქვს! ერთადერთი გზა არის ინტერნეტი და სწორედ ამიტომ, და მსოფლიოში მიმდინარე სხვა ბევრი მსგავსი მოვლენების გამო, მიდის ინტერნეტის თავისუფლების შემზღუდავი უკანონობის გამალებული დაკანონება!**

დასავლეთს პრობლემების მოგვარება გულით რომ სურდეს...

კი ამ აკრძალვებს კანონიერი, ანუ სამართლიანი ქმედების სახე ეძლევა, მას „დემოკრატიულ“ ნიღაბს აფარებენ — აქაოდა ყველაფერი ეს ხალხისთვის, მისი უსაფრთხოებისთვის კეთდება და მხოლოდ ტერორისტ-რასისტების წინააღმდეგ არის მიმართულიო, და ამიტომაც სახელმწიფოს მხრიდან ქუჩებში თუ დაწესებულებებში დამონტაჟებული კამერებით თქვენს თვალთვალს, სატელეფონო მოსმენებს, მთავრობის მიერ წახალისებულ დასმენებთან ერთად, ორდერის გარეშე ჩხრეკა-დაპატიმრებებს ე.წ. „პატრიოტული აქტის“ (ანუ კანონის!) საფუძველზე გაგებით უნდა მოეკიდოთო. იმას კი არავინ ეუბნება და უხსნის ამ ხალხს, თუ რა მოხდა ამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ანუ მას შემდეგ, როცა არც „პატრიოტული აქტი“ არსებობდა, არც ვიდეოთვალები, არც ამდენი მეტალოდეტექტორი და არავითარი ტერორისტული აქტები არ ხდებოდა.

სხვათა შორის, რუსეთის სახელმწიფო დუმაშიც შეიტანეს საიტების ბლოკირების პროექტი, მაგრამ ჯერჯერობით მისი მიღება არ მოხერხდა, ვინაიდან, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, იგი წინააღმდეგობაში მოვიდა პრეზიდენტ პუტინისდროინდელ, ოფიციალურ მითითებასთან საინფორმაციო გახსნილობის და ინტერნეტურთიერთობების ფართოდ გავრცელების თაობაზე.

ალბათ ბევრმა არც იცის, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტად შეფასებული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორი მაღლივი შენობის აფეთქების მიზეზების კერძო გამოძიება კანონის ძალითაა

როგორ გინდა წარსულის გაკვეთილებიდან, პირველ რიგში, განვლილი ომებიდან, სწორი დასკვნები გამოიტანო, როცა ყველაზე დიდი ომის, მეორე მსოფლიო ომის მიუკერძოებელ ანალიზს 65 წლის შემდეგაც ტაბუ აქვს დადებული. ევროპის კონვენციის — ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის მე—10 სტატიის პირველი პუნქტის მიუხედავად, სადაც ლაპარაკია აზრის თავისუფლად გამოხატვის და ინფორმაციის მიღება-გავრცელების თაობაზე, ისტორიკოსების ძალიან დიდი ნაწილი ვერ ბედავს საჯაროდ გამოთქვას თავისი შეხედულება ამ ომზე. როცა ერთხელ დადგენილი შეფასების გადასინჯვა (რევიზია) სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება საფრანგეთში, შვეიცარიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, პოლონეთში, ავსტრიაში, თავად გერმანიაში(!), აგრეთვე კანადასა და ავსტრალიაში, მაშინ უკვე ნებისმიერი მოწოდებული ოფიციალური „სიმართლე“ დიდ ეჭვს იწვევს. **ყოველი „სიმართლე“, რომელსაც დასადასტურებლად რეპრესიული მეთოდები სჭირდება, არასოდეს იქნება სიმართლე ბრჭყალების გარეშე!**

საფრანგეთში ისტორიის რევიზია, ანუ რევიზიონიზმი 1990 წლიდანაა აკრძალული ე.წ. ფაბიუს-გეისოს კანონით და იგი ჯარიმებთან ერთად სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევასაც ითვალისწინებს, რაც თავის მხრივ პროფესიული საქმიანობის გარეშე, ადამიანის უმუშევრად, ულუკმაპუროდ დატოვებას გულისხმობს. არასრული სამი წლის განმავლობაში (1993 წლისთვის) ეს კანონი 30-ჯერ გამოიყენეს უნივერსიტეტების პედაგოგების, სტუდენტების, მკვლევარების მიმართ. უსახსრებოდ დატოვება ძალზე ეფექტიანი საშუალებაა რევიზიონისტის, და საერთოდ, პროტესტის გამომხატველი ადამიანების დასათრგუნად და მათი შემხედვარე სხვა პატიოსანი მკვლევარების გასაჩუმებლად; ამიტომაც ძნელია, ყველას თავის გადადება და გმირობა მოსთხოვო. საქართველოში მსგავსი კანონი არ მოქმედებს, მაგრამ კანონი ვის რაში სჭირდება, პრინციპი უკმაყოფილების გამომხატველი ხალხის დასჯისა ტყუპისცალივით იდენტურია და გაუმჯობესებულიც — სამსახურიდან დათხოვნა, ბიზნესის დარეკეტება-წართმევა და ციხეშიც მოყუჩება. იმის თქმა მსურს, რომ არც ეს მეთოდია „ვარდების“ რევოლუციონერების „შემოქმედებითი“ აზრის ნაყოფი, ესეც მოწინავე დასავლეთის დამსახურებაა.

2007 წლის იანვარში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ჰოლოკოსტის თაობაზე, რომლითაც უსიტყვოდ იგმობა ყოველნაირი უარყოფა ჰოლოკოსტისა, ნაწილობრივი იქნება ეს, თუ — სრული. ანუ, სხვა სიტყვებით, თუ რომელიმე მკვლევარს ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულ ებრაელთა რაოდენობა არა ექვსი (როგორც გვარწმუნებენ), არამედ ხუთი მილიონი გამოუვიდა ან, სულაც 500 ათასი, მაშინ იგი არა მარტო ანტისემიტის იარლიყს დაიმსახურებს, არამედ დიდ ჯარიმასა და ციხესაც გამოჰკრავს ხელს ევროპის უმეტეს სახელმწიფოში, და ამის მაგალითები არც ისე ცოტაა. სულ ახლახან, 2009 წლის ოქტომბერში, ინგლისელი ეპისკოპოსი რიჩარდ ვილიამსონი 12 ათასი ევროთი დააჯარიმეს იმის გულისთვის, რომ შვეიცის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: არა 6 მილიონი, არამედ მხოლოდ 300 ათასი ებრაელი დაიღუპა ყველა (!) მიზეზით ომის დროსო.

2006 წლის ე.წ. „სამხედრო უფლებამოსილების აქტით“ (Military Commissions Act) „ტერორიზმის“ მუხლწაყენებულ ნებისმიერ მოქალაქეს ერთმევა ყველანაირი ადამიანური უფლებები, სახელმწიფოს კი ეძლევა ამ პირის წამების, გასამართლების გარეშე ციხეში უსასრულოდ დაკავების უფლება (როგორც იყო გუანტანამოში) და, რაღა თქმა, უნდა — „დაკითხვის“ დროს პატიმრის „შემთხვევით შემოკვდომის“ უფლებაც! ანუ ყველაფერი ეს ხორციელდება არა დამნაშავეების, არამედ ტერორისტობაში ეჭვმიტანილების(!) მიმართ. უფლებააყრილ და წლების განმავლობაში ნაწამებ ადამიანებს ყველაფერს აღიარებინებ, ამის მაგალითები უამრავი გვაქვს 37-იანი წლებიდან.

რაც შეეხება ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებულ ანალოგიურ შემზღუდავ ზომებს — ევროკავშირის 27 სახელმწიფოს სახელით ჩეხეთმა გააკეთა განცხადება, რომლითაც დაიგმო სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაცია, როგორც „ადამიანური ღირსების და ფუნდამენტური თავისუფლების უხეში დარღვევა“, და დამრღვევნი სასამართლოს უნდა გადაეცესო. ეს განცხადება, რომელსაც საქართველოც შეუერთდა, 2009 წ. 17 მაისს გამოქვეყნდა — ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს. ჯერ როგორი ტერმინია შერჩეული — „ჰომოფობია“, თითქოს ადამიანს ვუფრთხოდეთ, მისი შიში გვქონდეს და არა — ზოგიერთებში ფეხმოკიდებულ ამაზრზენ და საშიშ მოვლენას.

ეს ტერმინი — **„ჰომოფობია“ მოგონილია მხოლოდ იმისთვის, რომ ქრისტიანებს და სხვა ტრადიციული რელიგიის მიმდევრებს კანონით აუკრძალონ ცოდვა უწოდონ ჰომოსექსუალიზმს.** უფრო მეტიც, როცა ევროკავშირი ამ ტერმინის შემცველ საერთაშორისო დღეს აწესებს, იგი ამით მორწმუნეებს აიძულებს ნორმად მიიღონ ერთსქესოვანი კავშირები. მართალია, რუსული მართლმადიდებლური ეკლესია წინააღმდეგია საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში „ჰომოფობიის“ დამკვიდრებისა, და ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებითაც მკაფიოდ აყალიბებს თავის პოზიციას „სოციალური კონცეფციის საფუძვლებში“, მაგრამ, სამწუხაროდ, რაიმე წარმატების მიღწევა ამ ფრონტზე გამორიცხული იქნება მანამ, სანამ ქრისტიანული ეკლესია არ გაერთიანდება, ან კარდინალურ საკითხებზე მაინც არ შეთანხმდება. დღეს კი არათუ დაახლოება ხდება კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის, არამედ, პირიქით, მათ შორის წინააღმდეგობა, თანაც გადაულახავი, იქაც კი ჩნდება, სადაც ორი ათასი წელი სრული თანხმობა იყო.

იაკობ ლეჟავა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 63-66.

◎ ვინ – ვის?

რუსულ-ამერიკული ალიანსის ქართული შემადგენელი

23 მარტს ამერიკულ გაზეთში The Washington Times „რუსულ-ამერიკული ალიანსის“ (www.amerika-russia.net) მიერ დაფინანსებულ სპეციალურ სარეკლამო გვერდზე გაჩნდა სტატია სათაურით „პრეზიდენტო ობამავ, მიხეილ სააკაშვილს მასპინძლობა არ ეთამაშო!“ მკითხველმა ეს სტატია მას მერე იხილა, რაც გაჩნდა ინფორმაცია აპრილში საქართველოს პრეზიდენტის ვაშინგტონში შუსაძლო ვიზიტის შესახებ. სტატია მოგვითხრობს, რომ ეს ვიზიტი სააკაშვილის ამერიკელი ლობისტების მიერაა ორგანიზებული, რომ რესპუბლიკელებთან ერთად სააკაშვილის მხარდამჭერთა რიგებს დემოკრატიულ პარტიასთან ასოცირებული ორი კომპანიაც შეემატა. ადრე ამავე გაზეთში „რუსულ-ამერიკული ალიანსის“ ლობირება/დაფინანსებით სხვა სტატიებიც დაიბეჭდა. მაგალითად, სააკაშვილის ცვალებად ხასიათზე; 2008-ის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში რუსების მიერ სწრაფად მოგერიებულ ქართველთა თავდასხმაზე; სააკაშვილის მიერ მედიასა და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ წარმოებულ რეგრესიულ პოლიტიკაზე; სააკაშვილის მიერ რუსეთის ობიექტებზე თავდამსხმელი ტერორისტი ჯიჰადისტების მხარდაჭერაზე და მისთანანი...

23 მარტს გამოქვეყნებული ზემოხსენებული სტატიის ავტორი გახლავთ სენატორი, რესპუბლიკელების საგარეო საქმეთა კომიტეტის ყოფილი ანალიტიკოსი და საკადრო დიპლომატი ჯეიმს ჯოის ჯათრასი. ინტერნეტი გვამცნობს, რომ იგი გახლდათ American Counsil for Kosovo ბაზე, შესაძლოა, კონფედერაციის ფორმითაც. იძულებული ვარ ისევ და ისევ შეგახსენოთ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მხოლოდ იმიტომ იყო საბჭოთა საქართველოს ნაწილი, რომ „ძია ჯომ“ რეგიონალური რუკა თავისი სურვილით ხელახლა გამოჭრა (? – **რედ.**), მაგრამ ხელმძღვანელი, რომელიც ბალკანეთის, კერძოდ სერბიის საკითხებით იყო დაკავებული, ასევე გახლდათ ერთ-ერთი ლობისტური ფირმის წარმომადგენელიც. ჩემი მცდელობა დავკავშირებოდი ამ სტატიის ავტორს, ანდა ორგანიზაცია „ამერიკა-რუსეთის ალიანსის“ წარმომადგენელს, უშედეგოდ დასრულდა.

ჯეიმს ჯათრასი თავის სტატიაში 13 მარტს ტელეარხ „იმედის“ გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე მიუთითებს და ხაზს უსვამს სიუჟეტის იმ ეპიზოდს, სადაც პრეზიდენტი ობამა რუსეთს აფრთხილებს და სამხედრო მოქმედებების შეწყვეტას მოითხოვს. ავტორი წერს, რომ საქართველოს მოქალაქეების შეშფოთებამ, რასაკვირველია, ისეთ დონეს ვერ მიადწია, როგორც ეს 1938 წელს რადიოეთერით ორსონ უელსის მარსიანელების გამოგონილი შემოჭრის შესახებ „სამყაროების ომის“ გადაცემის დროს მოხდა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული სახე კი მიიღო: ხალხმა პანიკურად დაიწყო საკვებისა და საწვავის შესყიდვა, ბანკომატებიდან ფულის გამოტანა, მეგობრებსა და ნათესავებთან რეკვა ისე, რომ მობილური სატელეფონო ქსელები მწყობრიდან გამოვიდა. „სასწრაფო დახმარების“ სამსახურმა განაცხადა, რომ გამოძახებათა რაოდენობამ სამჯერ მოიმატა, უმეტესობა გულის შეტევას უკავშირდებოდა. განრისხებული ქართველები სიუჟეტის გასაპრიტესტებლად „იმედთან“ შეიკრიბნენ. სიუჟეტში ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი რუსული აგრესიის მხარდამჭერად იყო გამოყვანილი. „მე სრულიად ვარ დარწმუნებული, რომ ამის უკან პრეზიდენტი დგას“ – თქვა ბურჯანაძემ. ჯეიმს ჯათრასი აცხადებს, რომ მიუხედავად ოფიციალური უარყოფისა, აბსოლუტურად დაუჯერებელია, თითქოს სააკაშვილის ადმინისტრაციას ამ „ფსევდოდოკუმენტურ“ ფილმთან არანაირი კავშირი არ აქვს. ავტორს მოჰყავს საქართველოში აშშ-ის, ბრიტანეთისა და ევროკავშირის დამკვირვებელთა ნეგატიური შეფასებების შემცველი განცხადებები. იგი წერს: „სხვა საქმეა, ქართველებს უნდოდთ, პრეზიდენტმა მათ ძლიერ მეზობელს თვალში თითი ატაკოს, ხალხი წაიქეზოს თავის უაზრო რუსოფობიით, ანდა გააღვიეოს ყველასათვის ცნობილი მისი ოცნება – გახდეს მისი თანამემამულის იოსებ ჯუღაშვილის, იოსებ სტალინად წოდებულის ასლი. სააკაშვილის უპასუხისმგებლო მოქმედებების გამო ქართველებმა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან ერთად დიდი ფასი გადაიხადეს. უეჭველია, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ ქართველები სარგებელს გამორჩებიან. ეს არის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა და შეთანხმება სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე, შესაძლოა, კონფედერაციის ფორმითაც. იძულებული ვარ ისევ და ისევ შეგახსენოთ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მხოლოდ იმიტომ იყო საბჭოთა საქართველოს ნაწილი, რომ „ძია ჯომ“ რეგიონალური რუკა თავისი სურვილით ხელახლა გამოჭრა (? – **რედ.**), მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცეში დესტალინიზაციის პროცესი შეუქცევადია. სააკაშვილს, როგორადაც არ უნდოდეს თავისი წინამორბედის ასლი გახდეს და დრო უკან დააბრუნოს, ეს სიტუაციას მხოლოდ გააუარესებს. ჩვენთვის, ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სააკაშვილმა თავის ავანტიურებში არ ჩაგვითრიოს. მედია გვატყობინებს, რომ ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციის ზოგიერთი ჩინოვნიკი 2008-ის აგვისტოში რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის საომარი მოქმედებების (ან როგორც მინიმუმ, საომარი მოქმედებების მუქარის) მომხრედ გამოდიოდა და ამით მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის სამხედრო კონფრონტაციის რისკზე მიდიოდა, რომელიც საბედნიეროდ, ცივი ომის დროს თავიდან იქნა აცილებული. ვერანაირი ამერიკული ინტერესები ვერ გაამართლებს ასეთ რისკს და ამერიკული ინტერესი ვერ მოიგებს რამდენი ლობისტური ფულიც არ უნდა დახარჯონ თავისსავე ხალხში სააკაშვილის ვარდნაში მყოფი პოპულარობის დაცემისგან გადარჩენისთვის. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოსთვის ამერიკის დახმარების დონე – ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ მასში ჩვენი საკუთარი გადახახადები – სააკაშვილს უნდა ვუთხრათ, რომ აქ მისი ჩამოსვლა უბრალოდ არ უხარიათ. პრეზიდენტმა ობამამ, რომელმაც ბრძნულად დაიწყო მსოფლიო ჯიჰადიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის ბუნებრივი მოკავშირის – ამერიკის რუსეთთან კავშირების გადატვირთვა, ცხადად უნდა გააგებინოს სააკაშვილს, რომ იგი ვაშინგტონის სტუმართმოყვარეობას ბოროტად იყენებს.

სტატიაში მოყვანილი ციტატები:

„ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, კერძო კომპანია „იმედს“ სააკაშვილის მთავრობასთან ახლო კავშირები აქვს. ადრე ოპოზიციური ტელეარხი „იმედი“ პოლიციელთა მიერ 2007 წლის ნოემბრის ანტისამთავრობო გამოსვლების დროს ხელში ჩაიგდეს და გაურკვეველ ვითარებაში კერძო ინვესტორებს მიჰყიდეს. მისი მფლობელობის სტრუქტურა გამჭვირვალე არაა, მაგრამ ტელეარხს სააკაშვილის ახლო მეგობარი, ადრე მისი ადმინიტრაციის ხელმძღვანელი მართავს“.

– Radio Free Europe/Radio Liberty

„საქართველომ სიცოცხლე მისცა ძლიერ ლიდერებს: სტალინს, ბერიას, გამსახურდიასა და შევარდნაძეს მანამ, სანამ იგი ძალაუფლებას დაემშვიდობა. ისინი მარტო საქართველოს ინტერესებით არ მოქმედებდნენ. ჩემი ქმარი იგივეს აკეთებს. იგი ტრადიციას აგრძელებს. ამ ქვეყანას ძლიერი ხელი სჭირდება. ძალიან მნიშვნელოვანია რომ ხელისუფლებისადმი პატივისცემა დაბრუნდეს. მე მგონია, რომ ჩემი ქმარი არის ადამიანი, რომელიც ადამიანების დასაშინებლად მზადაა.“

– სანდრა რულოვსი, სააკაშვილის ცოლი (წყარო მითითებული არაა – 0.8.)

„სააკაშვილის უშიშროების საბჭომ მისი ვაშინგტონში გასამგზავრებლად პატივსაცემი PR-სააგენტო Podesta Group შეიპირა. ფირმის მმართველია ტონი პოდესტა, ბილ კლინტონის დროინდელი ადმინიტრაციის უფროსის ჯონ პოდესტას ძმა, რომელიც ობამას გარდამავალ მთავრობასაც ხელმძღვანელობდა. აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტების თანახმად პროფესიონალი პიარშიკები შესაბამის ამერიკულ აუდიტორიას, მათ შორის „აშშ-ის კონგრესს, ადმინისტრაციას, მედიასა და პოლიტიკურ საზოგადობას სტრატეგიულ რეკომენდაციებს ამერიკა-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის პრიორიტეტული საკითხების ახსნის საუკეთესო საშუალებების შესახებ წარუდგენენ“. ქვეყანამ გაწეული სამსახურისთვის 436 800 დოლარი იმ ლობისტურ ფირმას გადაუხადა, რომელიც დემოკრატიული უმრავლესობს ყოფილ ლიდერს დიკ ჰეჰარდს ეკუთვნის. მხოლოდ 2008 წლის ზაფხულისთვის თბილისელმა ჩინოვნიკებმა აშშ-ში ლობიზმზე 1,7 მლნ. დოლარი გახარჯეს“.

ჟურნალი Del Spiegel, 2010-ის 17 მარტი.

– „სააკაშვილის ადმინისტრაციის პირველ წლებში საქართველოს მთავრობა ტრაბახობდა ვაშინგტონურ ლობისტურ ფირმასთან Orion Strategies კავშირებით, რომელსაც ადრე ნეოკონსერვატორი პოლიტიკოსი რენდი შუნემანი ხელმძღვანელობდა. იგი საქართველოს საკითხებში სენატორ მაკკეინის მრჩეველი გახლდათ“.

გაზეთი The Georgian Times, 2010 წლის 15 მარტი.

„საქართველო ვერ იარსებებს, თუ რუსეთთან თავის ურთიერთობებში ვერ გაერკვა. თუ ჩვენ გვინდა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უკან დავიბრუნოთ, ჩვენ რუსეთს უნდა დავეელაპარაკოთ და დავარწმუნოთ, რომ ჩვენს ხალხებს ერთად ცხოვრება უნდათ“.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე (წყარო მითითებული არაა – 0.8.)

„ჩვენ რუსეთთან ტრანზიტული გადაფრენების შესახებ მართლაც მნიშვნელოვანი შეთანხმება დავდეთ. დღეისათვის ჩვენ უკვე განვახორციელეთ 100-ზე მეტი გადაფრენა და ჩვენ ამ წარმატებით ძალიან კმაყოფილი ვართ. ეს მნიშვნელოვანი რიცხვი მართლაც მნიშვნელოვანი წვლილია, რომელიც გვეხმარება ჩვენი ჯარები და აღჭურვილობა ავღანეთში ჩავიტანოთ.“

ავღანეთსა და პაკისტანში აშშ-ის წარმომადგენლის მოადგილე პოლ უ. ჯოუნსი (წყარო მითითებული არაა – 0.8.)

* * *

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი ამჟამად აშშ-ში მცხოვრებ კა-გე-ბეს ყოფილ ოფიცერს კონსტანტინ პრეობრაჟენსკისა და სსრკ-ში გაზეთის Financial Times ყოფილ კორესპონდენტს (1972-82), ჰადსონის ინსტიტუტისა და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის თანამშრომელს დეივიდ სატერს ვთხოვე.

– ეს გაზეთი არის მემარჯვენე კონსერვატორული გაზეთი, რომელშიც რუსეთის პროპაგანდისტული მანქანის მესიჯი შეაგდეს. – ამბობს კონსტანტინ პრეობრაჟენსკი. – სსრკ-ის არსებობის დროს ამგვარი სტატიის გაჩენის შანსიც რომ ყოფილიყო, საბჭოთა კავშირი ამაზე ფულს არ გაიღებდა, რადგან იგი თავის რეპუტაციაზე ზრუნავდა, დღევანდელი რუსეთი კი არ ზრუნავს. დამერწმუნეთ – ამგვარ ბრალდებებს თავისი სტრატეგიული პარტნიორის მიმართ ამერიკა მაინც გადაყლაპავს.

იხ. 6 გვ.

◎ ერიჰა!

მობილური საპლდგომო აფიორა!

სანამ უნდა აცუცურაკებდეს და ატყავებდეს ხალხს „სამი ვეშაპი?“

დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, თუ რა ამოძრავებს საქართველოს მობილური სატელეკომუნიკაციო კავშირის სამ „ვეშაპს“ – მაგთიკომს, ბილაინსა და ჯეოსელს, რომლებმაც ბოლო დროს „ფინანსური მადის ლამპარს“ ოდნავ კი დაუწიეს და მომხმარებელთათვის სხვადასხვა სახეობის შეღავათების შემოღება დაიწყეს, თუმცა...

ერთი კია, მათ მთელი რიგი შეღავათიანი პროექტი აქამდეც ჰქონდათ, თან საკმაოდ წარმატებულიც. მაგრამ, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პროექტები, როგორც წესი, ან ტელეფონების შეზღუდულ ნომრებზე ვრცელდებოდა, ანდა გარკვეული ვადების ჩარჩოებით იყო შემოფარგლული (ახლაც ასეა). ამასთან, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ **საქართველოში მობილური სატელეფონო კავშირის ტარიფები ევროპის უმდიდრეს ქვეყნებში ტარიფების მთლად ტოლი თუ არ არის, ყოველ შემთხვევაში, დიდადაც არ ჩამოუვარდება, ხოლო ამ „საკომუნიკაციო ყაჩაღობის“ მომკითხავი და განმკითხავი ვინმე კაცი კი არა, თვით ისეთი „უშელავათო“ სახელმწიფო სტრუქტურაც არ არის, როგორიცაა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.**



ჰოდა, რა ენაღვლებათ, თავის ნებაზე მიშვებული მობილური კავშირგაბმულობის ეს ჩვენი „გველეშაპებად“ გადაქცეული ვეშაპები თავის ნება-სურვილზე აწესებენ ტარიფებს, ხოლო რაც შეეხება თავად მომხმარებლისთვის გაწეული სერვისების ხარისხს, უწინარესად კი უშუალოდ მობილურ სატელეფონო კავშირს, დიდად არც ამით იწუხებენ თავს. თუმცა, ამაშიც სამართლიანი რომ ვიყო, ვიტყვი, რომ ამ კომუნიკაციურ „გველეშაპებში“, რომლებიც არა იმდენად მომხმარებლებზე, არამედ საკუთარ თანამშრომლებსა და გატიკამასხარებულ შოუმენთა სიკეთეზე არიან უფრო ორიენტირებულნი, უხარისხობით მაინც „ცხოვრების ნათელ მხარეს“ მცხოვრები ბილაინი გამოირჩევა.

სხვას თავი რომ დავანებოთ, კომპანიის აბონენტებს დღემდე ანგარიშის თაობაზე ინფორმაციის შეტყობინების გახმოვანება არ გაუკეთებია, ხოლო გაუთავებელ „სერვისის შეზღუდვებსა“ და „კავშირის უქონლობაზე“ ლაპარაკი აღარ არის.

სხვა „გველეშაპებზე“, ალბათ, მომავალში კიდევ ვილაპარაკებთ. ამჯერად კი იმავე ბილაინის კამპანიას მინდა მივაქციო ყურადღება, რომელსაც ახლაც უწევენ რეკლამას ზოგიერთი ტელეარხით. ლაპარაკია მხოლოდ 29,95 ლარად ქსელში ჩართული ტელეფონის შეძენაზე, რა დროსაც მომხმარებელი, ფაქტობრივად, სატელეფონო ნომერს ყიდულობს, ტელეფონს კი კომპანია ჩუქნის.

საჩუქრისთვის, ცხადია, მადლობა, მაგრამ საქმე აშკარად ერთ შეუსაბამობასთან გვაქვს: თუ მობილური ტელეფონი საჩუქარია, მაშინ გამოდის, რომ ამ ფულს (ანუ 29,95 ლარს) ნომრისთვის ვიხდით, რაც იმავე ჯეოსელისა და მაგთის ფონზეც კი ნამდვილად „ვესტერნულია“, ხოლო თუ ამ ფასში ნომერში ისევე ცოტას გვახდევინებენ, როგორც სხვა შემთხვევებში, მაშინ გამოდის, რომ ჩინური წარმოების ამ დაბალხარისხიან მობილურ ტელეფონებს თავის ღირებულებაზე რამდენჯერმე ძვირად (დაახლოებით 15 დოლარად) შემოგვასაღებენ.

სამართალი სადაა, ჩვენო ბილაინელო მეგობრებო, რომლებიც ასე წარმატებით „მოღვაწეობთ“ „პოსტსაბჭოურ სივრცესა“ და მთელ რიგ სხვა რეგიონში?

ბოლო ბილაინური „სააღდგომო აკორდის“ არსი კი მომხმარებელთათვის (ისიც, რატომღაც, არა ყველასთვის, არამედ ამორჩევით) ათწუთიანი უფასო საუბრის შესაძლებლობის „ჩუქებაა“, ამაზეც მადლობის მეტი რა გვეთქმოდა, რომ არა ერთი მცირედი „ნიუანსი“: ჯერ ერთი, სრულიად გაურკვეველი იყო, რა უნდა გაეკეთებინა აბონენტს ხსენებული „საჩუქრის“ „გასანაღდებლად“; მეორეც, ამის დადგენა ვერც შემდგომ მოხერხდა და იგი ვერც „საქმეში ჩახედულმა“ ხალხმა შეძლო; და მესამე, როდესაც სადღესასწაულო უქმე დღეების გავლის შემდეგ შესაძლებელი გახდა ბილაინის ცენტრისთვის მიკითხვა, აღმოჩნდა, რომ თავად „საჩუქრის“ ვადა... უკვე ჩავლილი ყოფილა, ხოლო იმ ორ დღეში ვინ რა ილაპარაკა და რამდენი დაეხარჯა, ეს უკვე ბილაინის სადარდებელი აღარ არის.

ასე რომ, გმადლობ, ჩემო ბილაინ!

ოთარ ტურაბელიძე

◎ ვინ – ვის?

რუსულ-ამერიკული ალიანსის ქართული შემადგენელი

(მეხუთე გვერდიდან)

– ამას წინათ New-York Times-ის გამომცემლობამ არაკორექტული სტატიისთვის სინგაპურელ პოლიტიკოსებს ბოდიში მოუხადა და ჯარიმაც გადაუხადა...

_საქართველომ რომ მოითხოვოს, მას ბოდიშს მაინც არ მოუხდიან, რადგან საქართველო კვლავ სსრკ-ის რესპუბლიკად აღიქმება. სინგაპური – სხვა საქმეა. არა აქვს მნიშვნელობა, რომ თქვენ თითქმის 20 წელი დამოუკიდებელნი ხართ. ამერიკა არასოდეს წაავ რუსეთის წინააღმდეგ. ობამა ფორმალურად საქართველოს მხარს უჭერს, საქმეზე კი - რუსეთს. ობამა დილემის წინაშე არასოდეს მდგარა. მისი არჩევანი იმთავითვე რუსეთი იყო. მას პუტინი უფრო სჭირდება, ვიდრე სააკაშვილი. მარტო ის რად ღირს, რომ დასავლეთმა „მისტრალის“ რუსეთისთვის მიყიდვა გადაალაპა? ეს უკვე არც მემარცხენეობისა და არც მემარჯვენეობის ბრალია. ფაქტია, რომ ამერიკა სულ უფრო იხრება მემარცხენეობისკენ, უფრო მეტი მემარცხენეა სახელმწიფო დეპარტამენტში, უნივერსიტეტებში. მაკკეინმა ამიტომაც ვერ გაიმარჯვა, არადა საქართველოსთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა რესპუბლიკელი პრეზიდენტი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ პუტინი ზოგადად მაინც „მოსწონთ“, დასავლეთზე მისი ძალა და სიუხვე იმპონირებს.

– სადღაა უკვე მისი ძალა, როცა ლამის ლუბიანკაზე ხალხს უფეთქებენ?

– როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში, სადაც ფე-ეს-ბე ყველაფერს აკონტროლებს, მას ტერორისტების გაკონტროლება არ შეუძლია? ფე-ეს-ბეს გარეშე ტერორისტული ორგანიზაციის დამოუკიდებლად შექმნა წარმოუდგენელია. პუტინი ეს არის მაფია. მეტსაც გეტყვით, მან იცოდა 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ. ერთ-ერთი თვითმფრინავის პილოტი მოჰამედ ატა, რომელმაც 2001 წელს თვითმფრინავი „ტუპებს“ შეაჯახა, ტერაქტამდე შეხვდა ერაყის დაზვერვის რეზიდენტს პრაღაში, სადაც ასევე დიდია კა-გე-ბე-ს გავლენა. ერაყის დაზვერვა კი კა-გე-ბე-ს შეილეული ორგანიზაციაა. იმას კი ადარ შეგახსენებთ, რომ კენედის მკვლელი ლი ჰარვი ოსვალდი სსრკ-ში ცხოვრობდა და მინსკში კა-გე-ბე-ს მიერ კონტროლირებად ქარხანაში მუშაობდა. საერთოდ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა საიდუმლოებითაა სავსე.

– რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, როცა ჩეჩნების დასახასიათებლად ტერმინი „ისლამური ექსტრემიზმი“ საფუძვლიანად დამკვიდრდა?

– ჩეჩნეთი ისლამური ქვეყანა არაა და მისი ომი რუსეთთან რელიგიური ომი არ გახლდათ. ჩეჩნეთი საბჭოთა რესპუბლიკაა. უბრალოდ პუტინმა ის კლანები, რომელიც სსრკ-ის დროს და მანამდეც არსებობდა, მაგალითად, აზიაში, კარგად გამოიყენა, ერთმანეთს წაკიდა და თანაც – ფეოდალური წესითა და ადათით. უბრალოდ სსრკ-ის არსებობის დროს საბჭოთა იდეოლოგია კლანურობას ასადევდებდა და ფარავდა. კლანურობა განსაკუთრებით თვალშისაცემი აზიაში იყო, საქართველოში – იმდენად არა. შემიძლია ისიც გითხრათ, რომ ყოფილ სსრკ-ის ტერიტორიაზე მუსლიმანური სამყარო პროპუტინურია. ჩეჩნეთში განხორციელებული გენოციდის შემდეგ რუსეთი 2005 წელს ორგანიზაცია „მუსლიმანური კონფერენციის“ წევრი ხდება... ნატოც კა-გე-ბეს თანამშრომლებითაა სავსე. მაგალითად, ნატოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი შანდორ ლაბორჩია. იგი ადრე უნგრეთის უშიშროების სამსახურის დირექტორი გახლდათ, ანუ კა-გე-ბეში მუშაობდა. 2008-ში ბუქარესტში ბუში საქართველოს ნატოში გაწევრების მცდელობას იცავდა, მაგრამ ვთვლი, რომ – სუსტად. ობამა ამ საკითხში კიდევ უფრო სუსტი იქნება. პირდაპირ დაწერეთ ჩემი სიტყვები: ამერიკა რუსეთის წინაშე მუხლებზე დგას. ფე-ეს-ბე-გან ისევ უნდა ელოდეთ სხვადასხვა სახის ინსინუაციებს, ფსევდოვიდეო და აუდიოჩანაწერების შექმნას. ძალიან ადვილია არარსებული საუბრის შეთითხვნა. ასევე სულაც არაა საჭირო, რომ თავად სამზნე ადამიანების სიტყვები იყოს ჩაწერილი. საკმარისია მსგავსი ხმების მქონე ადამიანების პოვნა და მათი ჩაწერა.

– კეირა არ გავა, რომ ამერიკის დაზვერვამ ჩინელი ჯაშუშები, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურ თუ იარაღის მწარმოებელ ქარხნებში მომუშავენი, არ გამოავლინოს. თითქოს გაგანია „ჩინური ანტიჯაშუშური კამპანიაა“ გამართული. რუსი ჯაშუშების შესახებ არაფერი გსმენიათ?...

_ შემიძლია განვაცხადო, რომ ბოლო დროს რუსი ჯაშუშები ძალიან გააქტიურდნენ. გასაკუთრებით ბევრნი არიან ისინი რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლობებში, რომლის შტატის 90 პროცენტი ფე-ეს-ბეს თანამშრომლებითაა დაკომპლექტებული. ეს აშკარაა, რადგანაც, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია დიპლომატისა და ჟურნალისტის დაზვერვას მიკუთვნებულობა რამენაირად დაიფაროს. ისინი თავისთი მთავარი საქმით არიან დაკავებული და, როგორც წესი, თავის ფორმალურ სამუშაო ადგილზე არასოდეს იმყოფებიან. ამერიკელები მათ არ აძევებენ! იმიტომ რომ კა-გე-ბე-სა და სი-აი-ე-ს (CIA) შორის არის სრული გაგება და მეგობრობა. ბევრი მკვლევარი, მაგალითად, ოლეგ გრეჩინევსკი თვლის, რომ კა-გე-ბე და სი-აი-ე ერთი და იგივე ორგანიზაციაა – ერთი საერთო მიზნებით, მათი ბრძოლა კი მხოლოდ იმიტაციაა. ეს რომ მართლაც ასეა, მე ამაში სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, თანაც ჩემს საკუთარ თავზე! ყველა ჩემი გამოსვლა, რომელიც ეხება ამერიკაში არსებულ რუსულ გავლენას, ამერიკელებში გაღიზიანებას იწვევს. არანაირი ინტერესი! მეტიც, ჩემი გამოსვლები მე მენებს. აქედან დასკვნა: საქართველოსა და სხვა ქვეყნებს რუსეთის გავლენის მიმართ ამერიკული წინააღმდეგობის დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ეს წინააღმდეგობა არ არსებობს! არის მხოლოდ წინააღმდეგობის იმიტაცია.



– საბჭოთა საქართველოში ამ მხრივ რა მდგომარეობა იყო და ახლანდელ საქმეთა ვითარებას როგორ დაახასიათებდით?

– თქვენს ქვეყანაში კა-გე-ბე-ს თავისი „პენსიონერების“ გამოყენება შეუძლია, მაგრამ საქმე მათში სულაც არაა. არამედ იმაში, რომ საქართველო ჩეკისტური ქვეყანაა. საქართველომ ძალიან ბევრი კა-გე-ბე-ს თავკაცი (მაგალითად, ბერია) გამოზარდა. ზოგადად საქართველოში ყოველთვის იყო ძალიან ბევრი კა-გე-ბე-ს აგენტი და ოფიცერი. ისინი არსად წასულან – საქართველოში რუსული გავლენა ძლიერადაა შენარჩუნებული, ისევე როგორც – ამერიკაში! სხვათა შორის, ლენინი მართალი იყო, როცა ამბობდა: „გამორჩენისთვის ბურჟუა იმ ბაღარს მოგყიდით, რომელზეც იგი შეიძლება ჩამოკიდონ!“ რამდენი რუსი შპიონია ამერიკაში, ეს არავინ იცის. საქმე არაა ჯაშუშების რაოდენობაში, რადგანაც რუსეთისთვის ეს უცხო სახელმწიფო არაა. უბრალოდ, ამერიკაში რუსეთს ძალიან ბევრი უჭერს მხარს და კა-გე-ბე სწორედ ამ ადამიანების დახმარებით მოქმედებს და სარგებლობს.

* * *

– დასავლეთმა საქართველოს რუსეთთან მოლაპარაკების პროცესს აუცილებლობაზე რამდენჯერმე მიუთითა. თქვენი აზრით, ამგვარ მოლაპარაკებაზე რა თემების გამხილვაა შესაძლებელი? – ვკითხე დეივიდ სატერს.

– როცა რუსეთი საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზებს აგებს, მართალი გითხრათ, პირადად მე ვერ ვხედავ მოლაპარაკებების თემასა და საგანს, რადგანაც ის, რასაც რუსეთი საქართველოსგან მოითხოვს, სუვერენულ ქვეყანა საქართველოს შესრულება არ შეუძლია. რუსეთს უნდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობ და გაზსადენები მისთვის მისაწვდომი იყოს და აქედან გამომდინარე, თემასთან დაკავშირებით რა შესაძლო შეთანხმებაზეა საუბარი, მართალი გითხრათ – მე ვერ ხედავ. სსრკ-ის არსებობის დროს საქართველოს ჰქონდა რეპუტაცია ქვეყნისა, რომელიც რუსეთს ემოგობრებოდა, რუსეთი უყვარდა. ახლა კი როცა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, იგი რუსეთის ნომერ პირველ მტრად გადაიქცა. ეს პარადოქსია. თუმცა ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ რუსეთი ვერ შეეგუა იმ იდეას, რომ საქართველოს აქვს უფლება იყოს დამოუკიდებელი, დამოუკიდებლი საგარეო პოლიტიკა აწარმოოს.

– ჰიპოთეზურად რომ წარმოვიდგინოთ სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულება, რას ცვლის იგი? საქართველოს ორი ნაწილი უკვე ლამის ორი ათეული წელია, ფაქტობრივად, საქართველოს არ ეკუთვნის...

– საქართველო თავის ტერიტორიაზე რუსების მოქმედების ლეგიტიმურობას არ ადასტურებს და ჩვენ გვაქვს შემდეგი სიტუაცია: ერთის მხრივ რუსეთმა სასტიკი ომი ჩეჩნეთის მიერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჩასახშობად გაანადა, მაგრამ როცა საქმე საქართველოს შეეხო, რუსეთმა მეზობელი ქვეყნის დანაწევრება დაიწყო. ძალიან მიჭირს დავინახო რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების პერსპექტივა, თუ რუსეთი თავად არ შეცვლის საქართველოსადმი დამოკიდებულებას. ვიმეორებ, არანაირი მოლაპარაკებები საჭირო არ იქნება, თუ რუსეთი საქართველოსადმი თავის დამოკიდებულებას შეცვლის. მანამდე კი მოლაპარაკებები შეუძლებელია. უბრალოდ ამერიკელებს იდეა-ფიქსი აქვთ იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკებები საჭიროა, რადგანაც ეს ჩვენი პირობებიდან გამომდინარეობს, როცა ჩვენ კომპრომისის გამოძებნას ვცდილობთ. ჰოდა, მოდით, მოვილაპარაკოთო... მაგრამ აქ საქმე გვაქვს რუსეთის მიერ მოწოდებულ ძალიან მკვეთრ ორმაგ სტანდარტთან: ყველაფერი რაც ჩვენ გვაქვს უპირობოდ, ჩვენია და ყველაფერი რაც თქვენ გეკუთვნით, განსჯის საგანია და ამაზე უნდა მოვილაპარაკოთ...

– ანუ თქვენ თვლით, რომ ისდა დაგვრჩენია, რუსეთში ხელისუფლების შეცვლას დაველოდოთ?

– მე ასე ვიტყოდი: უნდა დაელოდოთ რუსეთის მხრიდან თქვენს მიერ დასახელებული საკითხების მიმართ წარმოდგენის შეცვლას...

– მაგრამ მოსკოვი ანტიტერორისტული კოალიციის წევრ ქვეყანას რუსეთში განხორციელებული ლამის ყველა ტერაქტის ორგანიზებაში დებს ბრალს...

– დიახ, ეს ასეა. რუსეთში პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად ტერორიზმს მიმართავენ. მსოფლიომ ეს ბესლანის ტრაგედიის მაგალითზე ნახა, როცა კრემლმა კანონი გუბერნატორების არჩევის შესახებ შეცვალა. ჩანს, რომ ისინი ამას ტერაქტამდე გაცილებით ადრე გეგმავდნენ და ტრაგედიაც სათავისოდ გამოიყენეს. მაგრამ ტერორისტულ მოქმედებებში საქართველო არავის შეუნიშნავს. უბრალოდ მახსოვს, როცა შევარდნაძე იყო პრეზიდენტი – რუსეთმა საქართველო დაადანაშაულა იმაში, რომ იგი ჩეჩენ ტერორისტებს თავშესაფარს აძლევდა და ამის გამო ბომბები პანკისის ხეობაში ჩამოაგდო კიდეც. ვფიქრობ, რომ ეს არის ცინიზმი, როცა ასეთ ტრაგედიას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. ეს დიდი უდირსობაა. ასევე არ გამოვიცხავ, რომ ჩეჩენი ისლამისტი ექსტრემისტები, რომლებმაც განაცხადეს, რომ პასუხისმგებელნი არიან ამას წინათ მოსკოვში მომხდარ ტერაქტებზე – მართლაც იყვნენ პასუხისმგებელნი ამ ტერაქტებზე. ჩვენ არ ვიცით ამ შემთხვევაში თუ რა როლი აქვს ფე-ეს-ბე-ს და საიდუმლოდ უწყობს თუ არა იგი ხელს ტერორიზმს. სამწუხაროდ, სწორედ ესაა არადემოკრატიული ქვეყნის ტრაგედია, როდესაც ახი პროცენტის ხიზუსტით ვერასოდეს გავიგებთ, თუ ვინ ვის აფეთქებს, უდანაშაულო ხალხი კი ამის მსხვერპლი ხდება. იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მე მაქვს, ვერ ვიტყვი, რომ ეს ფე-ეს-ბე-ს ოპერაცია იყო, თუმცა როცა ორგანიზაციას აფეთქებების მოწყობის დიდი ტრადიცია აქვს, მე არც ამგვარ შესაძლებლობას გამოვიცხავ.

– თქვენ გაეცანით Washington Times-ში დაბეჭდილ სტატიას...

– ვფიქრობ, რომ უპირველესად ეს ამ ადამიანის შეხედულებაა და ეს არ არის სახელმწიფოს ოფიციალური შეხედულება. გაზეთი აჩვენებს, რომ არსებობს ასეთი აზრიც. არიან ადამიანები, რომლებიც ხაკაშვილს მარტო სკეპტიკურად კი არა, მტრულადაც უყურებენ. ამავე დროს სულაც არაა აუცილებელი, რომ ეს ავტორი, რომელიც ჩემთვის პირადად უცნობია, რუსეთზე მუშაობდეს. შესაძლებელია იგი უბრალოდ რუსეთის პოზიციისადმი სიმპათიას გამოხატავს. თუმცა როცა საქმე ბრალდებებს ეხება, ავტორმა უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. ამ სტატიაში ბევრი რამ ბუნდოვანია.

– გასაგებია, მაგრამ როცა ამგვარი სტატია 11 სექტემბრის ტრაგედიის ქვეყანაში იბეჭდება, ცხადია, ავტორს აშკარად გათვლილი აქვს მისი ხემოქმედების ამპლიტუდა. ისიც გასაგებია, რომ ლობიზმი ამერიკაში უკანონო საქმიანობა არაა, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს რომ ლობისტმა თავისი ფუნქციების შესრულებისას მედიის საშუალებით მძიმე ბრალდებები ფაქტების მოყვანის გარეშე წარადგინოს...

– ამერიკაში ლობისტური საქმიანობა ლეგიტიმურია. ყველა,ვისაც ფული და სურვილი აქვს, შეუძლია გარკვეული იდეების გატარების მიზნით ლობისტური კომპანიების საშუალებით ამერიკულ მთავრობაზე, კონგრესზე იმოქმედოს. ეს სავსებით ნორმალური საქმიანობაა. ამგვარი რამ ამერიკაში ყოველდღე ხდება. არსებობს ისრაელის ლობი, რომელიც ისრაელის ინტერესებს ლობირებს. ლობისტების დამქირავებლები მხარდამჭერების მოგროვებას ლობისტების დაქირავებით ცდილობენ. ცდილობენ ისე, როგორადაც შეუძლიათ. არავინ უშლით, არავინ ეკამათებათ. ეს მათი უფლებაა. მაგალითად, ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ამერიკულ კონგრესში თავის ინტერესებს ინტენსიურად ლობირებდა, რათა ამერიკა მას ჰიტლერთან ომში დახმარებოდა.

– თუ ბოლო მოვლენებით ვიმსჯელებთ, აშშ-ისრაელის ურთიერთობა, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ არასასიამოვნო სიტყვა-პასუხში გადაიზარდა. ეს არაბი ლობისტების სიძლიერესა და ისრაელური ლობის სისუსტეზე მიგვითითებს?

– ვფიქრობ, რომ ამერიკულ კონგრესში არაბებსაც ჰყავთ თავისი ლობი, მაგრამ თქვენს მიერ ნახსენებ კონფლიქტს ლობის არ დავაბრალებდი. უბრალოდ ახლა ასეთი პოლიტიკაა. ლობიზმი შეიძლება იყოს ეფექტიანიცა და არაეფექტიანიც. ამერიკულ კონგრესში სომხებს, აზერბაიჯანელებს, ყაზახებს თავიანთი ლობისტები ჰყავთ, მათ სხვადასხვა ინტერესები აქვთ. ასევეა ევროპაშიც და ეს ნორმალურია. საქართველო არც პირველი და არც უკანასკნელი ქვეყანაა, რომელიც ლობისტური კომპანიის მომსახურებით სარგებლობს, ისევე როგორც – რუსეთი.

– როგორ ფიქრობთ, ნატოს კარის ღიაობის გაცხადების მიუხედავად, საქართველოსთვის აგვისტოს ომის შემდეგ ნატოს კარის დირეს გადმობიჯების უფლება რამდენად რეალურია?

– ვფიქრობ, რომ აგვისტოს ომით რუსეთმა თავისას მაინც მიაღწია და ნატოს რამდენიმე წევრი საკმაოდ და იმდენად შეაშინა, რომ საქართველოს ნატოში შესვლა გადაიფიქრა და, ბუნებრივია, ეს საქართველოს ნატოში შესვლის შანსზე ცუდად იმოქმედებს. ამ მხრივ მე პესიმისტი ვარ. როცა საუბარია საქართველოს ნატოში გაწევრებაზე, ნათლად ჩანს ხაკაშვილის კრიტიკის ფარული მიზანი – დაარწმუნონ ნატოს წევრი ქვეყნები, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანა არაა ან არასაკმარისად დემოკრატიულია.

– არგუმენტად სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშიც გამოდგება...

– დიახ, ეს საბაბია, მაგრამ არა მთავარი მიზეზი.

– თურქეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობა ნამდვილად არაა სახარბიელო, მაგრამ ამას ნატოში მიღებისთვის ხელი სულაც არ შეუშლია.

– დიახ, მაგრამ ცხადზე ცხადია, რომ საქართველოს ნატოში მიღება-არმიღება თქვენი ქვეყნის დემოკრატიის დონეზე იმდენად არაა დამოკიდებული, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. უბრალოდ, საერთო ატმოსფერო საქართველოს სასარგებლოდ არაა. თუმცა რა რის სასარგებლოდ, ამას მხოლოდ დრო უწვენებს.

– რუსეთში დიდი ხმაური გამოიწვია აშშ-ის „ჰელსინკის კომიტეტის“ (აშშ-ის „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისია“) მიერ მოსკოვში ახლახან მომხდარი ტერაქტის თაობაზე გაკეთებულმა განცხადებამ, სადაც მოსკოვის ტერაქტები შეფასებულია როგორც „დახმარების ძახილი ჩეჩნეთსა და მეზობელ რეგიონებში ძალადობისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად“. ცხადია, ჩეჩნებს ამერიკის კონგრესში ლობისტები არა ჰყავთ... როგორ შეაფასებდით ამ განცხადებას?

– ეს ნამდვილად არაა ყველზე ჭკვიანური განცხადება და, როგორც ჩანს, დაწერილია იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ამ პრობლემაში დიდად და კარგად ვერ ერკვევიან. თუმცა ყველამ იცის, რომ რასაც რუსეთი უკანასკნელი 15 წლის განავლობაში ჩრდილოეთ კავკასიაში აკეთებდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა ისლამური ექსტრემიზმისთვის ნიადაგის შექმნა. ის, რაც ჩეჩნეთის მშვიდობიან მოსახლეობას დაატყდა თავს, ბუნებრივია, პირდაპირ თუ ირიბად ტერაქტების მიზეზად შეიძლება განვიხილოთ. ამის მიზეზი კავკასიაში რუსეთის უხეში პოლიტიკაა. როცა პატრუშევი ტერაქტებზე საუბრისას საქართველოს კვალს ახსენებს, სჯობს 1999 წელს მომხდარი აფეთქებების გამოძიებით დაკავდეს, ვიდრე ეს ადამიანური ტრაგედია პოლიტიკური ქულების შეგროვებისთვის გამოიყენოს.

ია მერკვილაძე,
ნიუ-იორკი, აშშ

ეკოლოგია

„...სათაფლიაზე ორი კვალია...“

დინოზავრთა ნაკვალევი

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინათ...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიციის წევრები: ბატონები — შალვა ყიფიანი, ზურაბ ტატაშიძე, არსენ ოქროჯანაშვილი, ბორის გერგედავა, ჯუმბერ ხომასურიძე და ამ სტრიქონების ავტორი წყალტუბო-სათაფლიას მიდამოებს ვეწვიეთ.

იმ დღეს, სათაფლიას მღვიმეში პირველად გავიცანი საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, მხარეთმცოდნე, ისტორიული ძეგლების თავდადებული მცველი, კარსტულ მღვიმეთა მკვლევარი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული პეტრე ჭაბუკიანი.

* * *

...ვის არ მისწერა სულგანათებულმა ბატონმა პეტრემ, ვისთან არ მივიდა, ვინ არ „შეანუხა“, რომ ბუნების უიშვიათესი ძეგლი დაეცვათ, მაგრამ ვერას გახდა.

— სახლში სკამი არა მაქვს, მაგრამ ჯანდაბას, ჩემთვის არაფერს გთხოვთ, ოღონდ ნაკვალევის დარდს ნუ ჩამატანთ საფლავში; მოუარეთ, უპატრონეთ, თორემ ასეთ უსულგულობას მომავალი თაობა არ გვაპატიებს, შერცხვებითო, — არაერთხელ დაუჩივლია...

სამწუხაროდ, ვერ მოვუარეთ, ვერ ვუპატრონეთ, შევრცხვით...

* * *

ამირე დოლიძე:



პეტრე ივანეს ძე ჭაბუკიანი დაიბადა 1889 წლის 4 აგვისტოს ქუთაისში.

იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1919 წლიდან, მთელი ცხოვრება საქართველოს ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვას მიუძღვნა.

1925 წელს, სათაფლიის მთის მიდამოებში აღმოაჩინა კასტრული მღვიმე, რომელიც მისივე ძალისხმევით, ბუნების იშვიათი სანახაობით ძეგლად იქცა.

1933 წელს, სათაფლიის მღვიმის მახლობლად, ქვედა ცარცული ასაკის მერგელოვანი კირქვის შრეებზე, მტაცებელი დინოზავრების ნაკვალევი აღმოაჩინა, რითაც უდიდესი სამსახური გაუწია მეცნიერებას. ნაკვალევი შეისწავლა აკადემიკოსმა ლეო გაბუნიამ და მას საგანგებო შრომა მიუძღვნა.

Sathapliasaurus tshabukiani Gab, — ასე შევიდა ეს აღმოჩენა პალეონტოლოგიურ ანალებში...

რაგინდ დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, სწორედ იმ დღიდან დაიწყო პეტრე ჭაბუკიანის წამება, რომელიც მისი ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა...

როგორც იქნა ასრულდა ბატონი პეტრე ჭაბუკიანის ოცნება! 77 (სამოცდაჩვიდმეტი!) წლის შემდეგ, სათაფლიის მღვიმეს და დინოზავრების ნაკვალევს მზრუნველი გამოუჩნდა. მართალია, ძალიან დაგვიანებით, მაგრამ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“...

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტომ მოიპოვა გრანტი, რომელიც სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვისაა გათვალისწინებული.

ვესაუბრებით დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ **მარიამ მრევლიშვილს**.

— ტურიზმი ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული, — განაცხადა მან, — ამ მხრივ მეტად საინტერესო, ტურისტულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის კეთილმოწყობას, რომელიც ქუთაისის მახლობლად მდებარეობს, და ადმინისტრაციულად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შედის. ნაკრძალი მდიდარია იშვიათი გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, სპელეოლოგიური, ზოოლოგიური და ბოტანიკური ნიმუშებით. ნაკრძალის ფართობი სამასორმოცდაათ ჰექტარზე მეტია, რომელიც კოლხური ტყითაა დაფარული. ნაკრძალის მთავარი ღირსშესანიშნაობაა სათაფლიის მღვიმე და მერგელოვანი კირქვის შრეებზე აღბეჭდილი დინოზავრების ნაკვალევი, რომელიც გადაუდებელ დაცვას საჭიროებს.

სააგენტომ მოიპოვა გრანტი, რომელიც სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს ახალ სიცოცხლეს შთაბერავს.

საგრანტო შეთანხმების მიხედვით, BP-ის მიერ გამოყოფილი სამი მილიონ ხუთასი ათასი დოლარის გრანტი მთლიანად სათაფლიის ნაკრძალის კეთილმოწყობას მოხმარდება. პროექტით გათვალისწინებულია ნაკრძალის ცენტრალური შესასვლელის, ვიზიტორთა ცენტრის, ცარცული პერიოდის პარკის, და რაც მთავარია, დინოზავრების ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობის მშენებლობა; მღვიმეში დაიგება სავალი ბილიკი, გვირაბი მხატვრულად განათდება, შესასვლელთან და გამოსასვლელთან გაკეთდება რაბები, რომელიც მღვიმეში ჰაერის ნაკადების მოძრაობას დაარეგულირებს; მღვიმის შესასვლელთან მოეწყობა სამზერი მოედანი; გამოსასვლელთან კი აიგება საგამოფენო დარბაზი, კაფეტერია; კოლხურ ტყეში მოეწყობა სავალი ბილიკები და საპიკნიკე ადგილები.

ერთი სიტყვით, ეს იქნება უმაღლეს დონეზე მოწყობილი ტურისტული კომპლექსი.

პროექტი 2010 წლის ბოლომდე განხორციელდება, — ბრძანა დასასრულს მარიამ მრევლიშვილმა.

* * *

გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოტია იოსელიანი ახლახან დაბრუნდა ავსტრიიდან, როგორც კი შეიტყო, რომ წლეულს კეთილმოწყობის სამუშაოები იწყება, მაშინვე სათაფლიაზე მოისურვა ასვლა, პეტრე ჭაბუკიანის საფლავზე.

მანქანაში ხუთნი ვართ, წინ გვიშტიბელი ბრძენკაცი ზის. საჭესთან ბატონი იოტიას ვაჟია, ბავშვების საყვარელი გმირის დაჩის პროტოტიპი.

ოტია იოსელიანი

უკან სამნი ვართ, — ბატონი ოტიას სიყრმის მეგობარი ზალიკო ბოჭორიშვილი, დაჩის უახლოესი ადამიანი გიორგი ამისულაშვილი, და თქვენი მონა-მორჩილი.

ათ წელზე მეტია, სათაფლიისკენ მიმავალ გზაზე არ გამივლია. მიხარია, რომ ვიღაც დალოცვილის კეთილ ნებას და ჯადოსნურ მარჯვენას გზა ისე მოუწესრიგებია, ავ თვალს არ ენახება.

ხელთ მაქვს ბატონი ოტია იოსელიანის ავტობიოგრაფიული ნოველების კრებული, — „ჩემი თავგადასავალი“.

კრებულში ბევრი სულისშემძვრელი ნოველაა, რომელთაც დროდადრო ხელახლა ვკითხულობ.

ამჯერად სათაფლიისკენ მიმავალს, მეგზურად მიმყვება ნოველა „პეტრე ჭაბუკიანი — დინოზავრის ნაკვალევი“, რომელიც მეტად ძვირფასია ჩემთვის.

— პეტრე ცოცხალი ლეგენდა იყო, არა ერთის საავტორო, არა ერთის საკუთრება. გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებს, თუ მისი საფლავისთვის ვინმე ფოტოებით ან ხსოვნითი პორტრეტით გამოძერწვას ეცდება, — ამბობს ბატონი ოტია, — იქნებ, ახლა მაინც მიხედონ პეტრეს საფლავს. არქიტექტორებს ჩვენი ჩანაფიქრი უნდა მივაწოდოთ. გრანიტის ლოდი, „ობოლი ქვა“, უნდა მოვიძიოთ, რომელზეც ოსტატს სიმბლურ მინიშნებას დავასმევინებ.

— იქნებ გამანდოთ, რა სიმბოლო უნდა დასვათ?

— ვეკითხები.

— მაგას მერე გეტყვი, როცა სასურველ მონოლითს ვიპოვით, — მპირდება ბატონი ოტია.

— პეტრე რომ გარდაიცვალა, მისი დაკრძალვა საპატიო ადგილზე — მწვანეყვავილას პანთეონში უნდოდათ; ღმერთმა ააშენა იმის ოჯახი, ვინც ქუთაისის ხელმძღვანელობას ეს აზრი მიაწოდა, — განაგრძობს ბატონი ოტია. — ყველა კვდება და ყველას სამარე სასაფლაოზეა. პეტრესი — სათაფლიაზე, იმიტომ, რომ პეტრე სხვაა, პეტრე ერთადერთია, გამორჩეული, განუმეორებელი, ამიტომ პეტრე სწორედ აქ უნდა ყოფილიყო, სათაფლიაზე, მარტოდმარტო, თავის აღმოჩენილ, თავის შექმნილ თავის ნალოლიავებ სამყაროში.

* * *

მიხვეულ-მოხვეული გზით მაღლა-მაღლა მივიწევთ, მღვიმისკენ.

ნაკრძალის ტერიტორიაზე ვართ.

ქვემოთ, მინდორში, თოვლის ლაქები აქა-იქ თუა შემორჩენილი, აქ, ნაკრძალის ტყეში კი მტკაველზე მეტია!

— ნაკრძალი ბოლოს გახდა, თვარა მანამდე უპატრონო, პარტახი, ბრაკონიერთა სათარეშო იყო, ოთხასი ჰექტარი რცხილის, ვერხვის, წიფლის, წაბლის, ბზის, უთხოვარის ტყე, რომელსაც წალდ-ნაჯახ-თოფიანი ორფეხა ნადირები შესეოდნენ — გულისტკივილით იხსენებს ბატონი ოტია. — ყოველდღიური ბრძოლა-ჭიდილით გადაარჩინა მან ნაკრძალის ტყე, თუმცა ნაკვალევს ვერაფერი უშველა.

სამი დღის წინ წყალტუბოში თოვდა. შემდეგ ისეთი ქარბორია დატრიალდა, ლამის წალეკა ქვეყანა.

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა... ისეთ ამინდში თუ ინატრა გალაკტიონმა...

დღეს კი მზე ჩახჩახებს; დაჭირხლული თოვლი მზეზე ალმასებივით ბრწყინავს...

დირექციის შენობასთან ვჩერდებით, შენობიდან გამოგვეგებნენ ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორი ზაალ კვანტალიანი, მისი თანამშრომლები, — ავთანდილ ჩიტიძე, ვალერი ჯოჯუა, გოჩა ყუბანეიშვილი, გიორგი ბალანჩივაძე, თემურ გოგიშვილი; მოგვესალმნენ, გაუხარდათ ბატონი ოტიას დანახვა...

ბატონი ოტია პეტრეს საფლავთან მივიდა.

ირგვლივ იდილიური სიჩუმეა, სევდიანი მდუმარება...

„სათაფლიელი“ დინოზავრები

ფიქრებში გარინდული ბატონი ოტია ალბათ უკვე კარიერებზეა, გრანიტის მონოლითს, „ობოლ ქვას“ დაეძებს, მეგობრის საფლავისთვის, აქაურობას უფარდებს.

ერთი „ნაკლი“ აქვს ბატონ ოტიას, — თუ რამე ჩაიფიქრა მორჩა, — მანამ არ მოეშვება, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს დაწყებულ საქმეს.

სამი დღის წინათ წყალტუბოდან დაჩიმ დამირეკა, — ბატონ ოტიას უკვე მოუვლია ჯიმასტაროს, კურსების, ოხომერას, ოფურჩხეთის კარიერები. მეგზურობას უწევდნენ მოქანდაკე გურამ კვიმსაძე, ბატონი ოტიას შემოქმედების საუკეთესო მცოდნე და დამფასებული, იურისტი მალხაზ საჯაია და ზალიკო ბოჭორიშვილი.

ამიტომ მჯერა, რომ ბატონი ოტია „ობოლ ქვას“ იპოვის, აუცილებლად იპოვის...

* * *

პეტრე ჭაბუკიანს სხვადასხვა დროს გულთბილი სტრიქონები უძღვნეს პოეტებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა...

პირადად მე, ბატონი პეტრეს სახელის გაგონებისას, უმალ ლილი ნუცუბიძის სტრიქონები მახსენდება, — „სათაფლიაზე ორი კვალია, დინოზავრის და შენი კაცობის“...

გავა ათეული, ასეული წლები; ბევრი ჩვენგანის ხსენებაც არ იქნება ამ ცოდვილ მიწაზე... პეტრე ჭაბუკიანის საფლავზე დადებული გრანიტის ლოდი-ძეგლი კი ათასეულ წლებს გაუძლებს.

ბატონი პეტრეს მიკვლეულმა ნაკვალევმა, ავად თუ კარგად, ას ოც მილიონ წელს გაუძლო...

დღეს, აღმოჩენიდან სამოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ, ამ ნაკვალევს მზრუნველი გამოუჩნდა.

ნაკვალევი გადარჩა...

...თუნდაც იმას, რაც გადარჩენილია, დროის მსახვრალი ხელი უკვე ვერას დააკლებს...

ამიერიდან, ბატონი პეტრე ჭაბუკიანის სახელს დავიწყება არ უწერია...

ჯუმბერ ჯიშკარიანი,
დაცული ტერიგორიების სააგენტოს უფროსი სპეციალისტი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო-ნატოს საპარლამენტთაშორისო საბჭოს პირველი სხდომა

საქართველოში 6 აპრილიდან საქართველო-ნატოს საპარლამენტთაშორისო საბჭოს პირველ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ



საქართველოსა და ნატოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის თანამშრომლობის ახალი მექანიზმის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2009 წლის 26 მაისს სტოკჰოლმში შეხვედრის დროს. საბჭო შეიქმნა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საქართველოსთან საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, კერძოდ, ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით საპარლამენტთაშორისო საბჭოს შეხვედრები პერიოდულად გაიმართება.

6 აპრილს თბილისში გაიმართა საქართველო-ნატოს საბჭოს პირველი სხდომა. შეხვედრაზე განიხილეს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, აგრეთვე მთავრობის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმები.

ქართულ ტელეარხ „რუსთავი-2"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პარლამენტის დეპუტატმა ოპოზიციური ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან ნიკოლოზ ლალიაშვილმა განაცხადა, რომ ნატოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის წარმომადგენლები შეკითხვებს სვამდნენ სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით. ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობის წარმომადგენლის სიტყვებით, მაღალი რანგის სტუმრებს აინტერესებდათ საკითხი ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარე წლის მაისში უნდა გაიმართოს. „შეხვედრები ამ ფორმატში გვაძლევს შესანიშნავ შესაძლებლობას – ვუჩვენოთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს ქვეყანაში საქმის მდგომარეობის რეალური სურათი", – განაცხადა დეპუტატმა „რუსთავი-2"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

როგორც საქართველოს საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა განაცხადა, სტუმრებმა ბრიუსელიდან აგრეთვე განიხილეს საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების საკითხიც.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანახმად, სხდომის დროს განიხილეს აგრეთვე პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს თავდაცვის სფეროში, და საქართველოს სამხედრო მომსამსახურეების მონაწილეობა ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები სხდომის შემდეგ შეხვდნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს, იყვნენ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის თბილისის ოფისში, სადაც გაიმართა შეხვედრა გენერალ ჟილ ჟენვიერთან. ნატოს წარმომადგენლები შეხვდნენ აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ნიკოლოზ გილაურს და ვიცე-პრემიერებს თემურ იაკობაშვილსა და გიორგი ბარამიძეს.

მოგვიანებით საქართველოს ვიცე-პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ დახურულ კარს მიღმა შეხვედრის დროს სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი. ბარამიძემ აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა იძენს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას საქართველოს და ნატოს ურთიერთობათა გაღრმავების ფონზე.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები იყვნენ ცხინვალის მახლობლად მდებარე ქართულ სოფელ ერგნეთში, აგრეთვე შეხვდნენ ლტოლვილებს. ქართულ ტელეარხ „რუსთავი-2"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ნატოს დელეგაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რომ გააგრძელებენ დიალოგს რუსეთის მიერ საქართველოში სამხედრო კონფლიქტის მოწესრიგების შეთანხმების ყველა პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ შეთანხმებას ხელი მოაწერეს 2008 წლის აგვისტოში პრეზიდენტებმა მედვედევმა და სარკოზიმ.

საქართველოში, სხვადასხვა მონაცემებით, იმ ხალხის რიცხვი, ვინც მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრებას, ყოველთვის სჭარბობდა დანარჩენებს, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელთა ვიზიტი აღიქვეს კიდევ, როგორც საქართველოს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაახლოების ნიშანი.

სტრატეგიულ და საერთაშორისო გამოკვლევათა საქართველოს ფონდის ხელმძღვანელმა პროფესორმა ალექსანდრე რონდელმა „ამერიკის ხმისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს მოძრაობა ნატოსკენ შენელებულია, ამგვარი თანამშრომლობა ნაყოფიერად აისახება ბრიუსელისა და თბილისის დაახლოებაზე. „ამ ეტაპზე ორივე მხარე სინჯავს ნიადაგს. ნატოს სურს გაიგოს რა სიტუაციაა ქვეყანაში, როგორია რეალური პრობლემები. ალიანსი თავისი პოზიციის განსაზღვრის პროცესშია. თავის მხრივ, საქართველო ცდილობს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი და დააჩქაროს გზა ნატოში გაწევრებისკენ. ის, რომ უკრაინამ უკან დაიხია ნატოში შესვლის ამბიციებიდან – საქართველოსთვის კარგიცაა და ცუდიც. ცუდია ის, რომ ჩვენ უკვე აღარა ვართ უკრაინასთან ერთად, მაგრამ არის პოზიტიური მხარეც. კერძოდ, რუსეთისთვის კატეგორიულად მიუღებელი იქნებოდა, უკრაინა რომ შესულიყო ნატოში. მაშასადამე, დაპირისპირება მოსკოვის მხრიდან იქნებოდა ძალიან დიდი. ბუნებრივია, რუსეთს ძალიან არ უნდა, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი, მაგრამ მხოლოდ საქართველოს, უკრაინის გარეშე, იგი უფრო იოლად დათმობს. ასე რომ, მართალია საქართველოს ტემპი ნატოს წევრობის მიმართულებით არ არის ისეთი სწრაფი, როგორიც იყო აგვისტოს ომამდე, მაინც ქვეყნის სტრატეგიული მიზანი არ შეცვლილა. ჩვენ მივდივართ ნატოსკენ და ამგვარ ვიზიტებს აქვს ნაყოფიერი გავლენა ურთიერთობათა გაღრმავებაზე, – აღნიშნა პროფესორმა რონდელმა „ამერიკის ხმისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

8 აპრილს ნატოს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და საქართველოს საგარეოპოლიტიკურ უწყებაში. ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელთა დელეგაციის ვიზიტი 9 აპრილს დამთავრდა.

VOA NEWS.com Голос Америки

საქართველოს ოპოზიცია სააკაშვილს მასობრივი მღელვარებით დაემუქრა

პარასკევს საქართველოს ოპოზიციამ საბოლოოდ განსაზღვრა ქალთა განლაგება 30 მაისს ადგილობრივი არჩევნების წინ. თუმცა შეთანხმება ერთ კანდიდატზე თბილისის მერის საკვანძო პოსტზე ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, შინაგან საქმეთა მინისტრს დაემუქრნენ, რომ ის „სიცოცხლის ფასად გადაიხდის", თუ გაყალბებული იქნება კენჭისყრის შედეგები. ოპოზიციონერებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს რუსეთთან შერიგების აუცილებლობის შესახებ. სიმბოლურია, რომ ეს ყოველივე ხდებოდა 9 აპრილს, სრულიად განსაკუთრებულ დღეს ძვეყნის უახლოეს ისტორიაში

პარასკევს დილიდანვე თბილისელები ყვავილებით ხელში გაეშურნენ რუსთაველის პროსპექტისკენ. იგი გადაიქცა საქართველოს მთავარი პოლიტიკური მოვლენების არენად 1980 წლის პერიოდიდან.

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარებმა დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი, დაიღუპა 16 კაცი (დედანში ასეა მითითებული – რედ.). ეს დღე საქართველოს კალენდარში უქმედაა გამოცხადებული და მას სამშობლოსთვის დაღუპულთა ხსოვნის, ეროვნული ერთიანობისა და თანხმობის დღე ეწოდება. 9 აპრილსვე, მაგრამ უკვე 1991 წელს, საქართველომ მიიღო აქტი სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ.

მთელი დღის განმავლობაში პოლიტიკოსები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ტრაგედიის ადგილს ამკობდნენ გვირგვინებით. დაშვებული იყო სახელმწიფო დროშები. აქ მოვიდა პატრიარქი ილია მეორე, რომელიც მაშინაც სათავეში ედგა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. 1989 წლის 9 აპრილს იგი ცდილობდა გაეყვანა დემონსტრანტები პროსპექტიდან, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

9 აპრილი – არა მხოლოდ წარსული, არამედ თანამედროვე დღეცაა. წელს ეს დღე 30 მაისის კენჭისყრის წინ ოპოზიციონერების წინასაარჩევნო კამპანიის განსაზღვრის დღედ იქცა.

ერთ-ერთი პირველი, ვინც პროსპექტზე შეუცვლელი პიჯაკით გამოცხადდა, იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს ექს-ხელმძღვანელი სალომე ზურაბიშვილი. იგი აცხადებს, რომ გამოიცვლის პიჯაკს მხოლოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შემდეგ.

მან შეაგროვა ჟურნალისტები და აცნობა, რომ გადაწყვიტა შევიდეს ოპოზიციურ „ალიანსში საქართველოსთვის", რომელსაც ამჟამად სათავეში უდგას გაეროში ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია. ზურაბიშვილმა თავისი გადაწყვეტილება განმარტა იმით, რომ ალასანიელები მოითხოვენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას არჩევნების გზით. „ჩვენ იდენტური მსოფლმხედველობა გვაქვს", – განმარტა ცნობილმა ოპოზიციონერმა.

ალიანსში უკვე შედიან რესპუბლიკელები – „ახალი მემარჯვენეები" და „თავისუფალი დემოკრატები". ირაკლი ალასანია არის 30 მაისის არჩევნებში მერობის კანდიდატი. გამოჩნდა იგიც, მან მადლობა გადაუხადა ყოფილ თავის უფროსს ქართულ დიპლომატიაში და წარმოთქვა რიტუალური „ბრძოლა გრძელდება!".

დღის პოლიტიკური პროგრამა ამით არ დამთავრებულა. ვნებათა ღელვა კიდევ უფრო გამწვავდა რუსთაველის პროსპექტთან ახლომდებარე ჭადრაკის სასახლეში. აქ შეიკრიბნენ პარტიები, რომლებიც შედიან ქართული ოპოზიციის „ეროვნულ საბჭოში". შეთანხმება თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე მათ ვერ შეძლეს. სამდღიანი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით, არჩევნებზე გაიგზავნა კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი ზვიად ძიძიგური.

ხელისუფლებას, რომელიც, ალბათ, თავის დღევანდელ ქალაქის ხელმძღვანელს გიორგი უგულავას დაასახელებს, გამარჯვების დიდი შანსი აქვს. და ეს მაშინ, როდესაც მთლიანად საქართველოს დედაქალაქში სააკაშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ არიან განწყობილი.

ეროვნულ საბჭოში შედის მოძრაობის – „სამართლიანი საქართველოსთვის" – ლიდერი, ექს-პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც მაისში უკვე მეშვიდედ შვიდი თვის განმავლობაში ჩავა მოსკოვში. „ჩვენ უნდა დავიწყოთ პირდაპირი მოლაპარაკება რუსეთთან რაიმე წინასწარი პირობებისა და ულტიმატუმების გარეშე. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, – ეს არის რუსეთთან ნორმალური ერთიერთობის აღდგენა", – განუცხადა ნოღაიდელმა ჭადრაკის სასახლეში თავის მომხრეებს.

მისი სიტყვებით, „რუსეთთან მხოლოდ ნორმალური ურთიერთობის მეშვეობით გაუჩნდება საქართველოს გაერთიანების შანსი. პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება მხოლოდ აღიზიანებს რუსეთს, მაგრამ უმოსკოვოდ საქართველო ვერ გავა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირ დიალოგზე.

„რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი", – დაადასტურა ძიძიგურმა.

წინა დღით ეროვნული საბჭო საქართველოს ხელისუფლებას დაჰპირდა „თბილისში ბიშკეკის მოწყობას", თუ 30 მაისის არჩევნების შედეგები გაყალბდება. ნოღაიდელმა იწინასწარმეტყველა აგრეთვე, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი „თავისი სიცოცხლის ფასად გადაიხდის", თუ მოხდება კენჭისყრის შედეგების გაყალბება.

ჭადრაკის სასახლეში შეკრების დამთავრების შემდეგ ოპოზიციონერები გამოვიდნენ რუსთაველის პროსპექტზე და იქ მშვიდობიანად დააწყვეს ყვავილები.

დმიტრი ალექსანდროვი

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

აუქციონი

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე II ლოტად:

I.ლოტი. მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 360.00 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.07.04.757).

საწყისი გასაყიდი ფასი: 1 კვ.მ. – 27 ლარი და 20 თეთრი;

II.ლოტი. მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, კოსტავას ქ. № 18–ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 29.00 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.07.06.314).

საწყისი გასაყიდი ფასი: 1 კვ.მ. – 30 ლარი;

აუქციონის "ბე" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს;

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10% - ს;

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. № 73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27; 899 22-65-33; 899 34-50-85

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

◎ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘ?

1937 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘ

„ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ“ ᲗᲣ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ?

ᲩᲜᲓᲔᲑᲐ შეკითხვა – რისთვის სჭირდებოდა სტალინს ბუხარინთან ლოიალობა, ვისადმი სიმპათიისთვისაც მცირედი საფუძველიც არ გააჩნდა? მით უმეტეს, რომ ამოტივტივდა ფაქტები, რომლებიც მოწმობდნენ მათი ძველი მონანიების არაგულწრფელობას და მათი ოპოზიციური საქმიანობის წარმოებას. რეგიონალები ხომ სასტიკ ზომებს მოითხოვდნენ. ვკითხულობ, რას ელოდა?

სტალინს არ უნდოდა რეპრესიები. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მის ზნეობას არ შეესაბამებოდა. როგორც პრაგმატიკოსს, მას ესმოდა, რომ ტერორის გაშლამ შეიძლება დაარტყას, ვისაც გინდა. დაიწყება სისხლიანი საკადრო ქაოსი, რომელიც სიტუაციას უმართავს გახდის. სტალინს ძალიან არ უყვარდა ქაოსი და ისტორიის კარგად მცოდნემ ისიც იცოდა, რამდენად აბსურდული შეიძლება იყოს მასობრივი ტერორი. უდავოა, ბელადი მხარს უჭერდა ბუხარინისა და რიკოვის პოლიტიკურ იზოლაციას, მაგრამ მათი განადგურება მას არ უნდოდა. ამას აშკარად წარმოაჩენს მისი ქცევა მომდევნო, თებერვალ-მარტის პლენუმზე, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ცენტრალური კომიტეტის წევრებიდან ერთადერთი, ვინც ასე თუ ისე შეეცადა ბუხარინის დაცვას, ორჯონიკიძე იყო. ბუხარინი ცდილობდა დაერწმუნებინა შეკრებილები, რომ ის ძალიან ცუდად საუბრობდა პიატაკოვზე. ამ ფაქტის დამოწმებას ის ორჯონიკიძეს სთხოვდა, რაც მან გააკეთა კიდეც. უნდა ითქვას, რომ ეს იყო გამოძრომის მეტად მოუხერხებელი მცდელობა. ბევრს როდი ნიშნავს, თუ რას იტყოდა ბუხარინი პიატაკოვზე, იქნებ ეს შენიღბვის მიზნით იყო? მაგრამ მაინც დამახასიათებელია ორჯონიკიძის ქცევა. ის აშკარად სიმპათიით იყო განწყობილი ბუხარინისადმი. თუმცა ყოფილი „ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ“ აშკარა მხარდაჭერით არ გამოსულა. თვითონ ორჯონიკიძესაც არ ჰქონდა მაინცდამაინც კარგად საქმე. სტალინმა და რეგიონალებმა თავიანთი მოხერხებული კამპანიით მავნებლების წინააღმდეგ წაართვეს სერგოს ყოველგვარი სურვილი – წარმოეჩინა თავისი უფლებები პლენუმზე და, მით უმეტეს, ექმაგა ვინმესთვის.

გვერდს ვერ ავუვლი ერთ დამახასიათებელ ფაქტსაც, რომელიც დაკავშირებულია საგარეო პოლიტიკის საკითხებთან. ეჟოვის მოხსენების დროს სტალინმა მისცა რეპლიკა იმის შესახებ, რომ გამოაშკარავებული ტროცკისტები დაკავშირებული იყვნენ დასავლეთის დემოკრატიის ქვეყნებთან – ინგლისთან, საფრანგეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. და მხოლოდ ამ რეპლიკის შემდეგ ალაპარაკდა ეჟოვი მოლაპარაკებაზე, რასაც ოპოზიციონერები აწარმოებდნენ „ამერიკის მთავრობასთან“ და „საფრანგეთის ელჩთან“. შემდეგ შეიქმნა უხერხულობის გამომწვევი სიტუაცია. ეჟოვმა თქვა შეთქმულების შესახებ: „ᲘᲡᲘᲜᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲔᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲬᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ“. მოლოტოვმა შეუსწორა – თურმე მოლაპარაკება საფრანგეთის წრეებთან მიმდინარეობდა. ეჟოვმა შეცდომისთვის ბოდიში მოიხადა, მაგრამ ცხადი იყო – მოხდა უხერხულობა.

ისტორიკოსი როგოვინი მომხდარ ფაქტს განმარტავს იმით, რომ „ᲑᲔᲚᲐᲓᲔᲑᲘ“ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲗᲔᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲓᲝᲗ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲡᲯᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“. ძალიან საეჭვოა, არა გვგონია, სტალინი და მოლოტოვი ასეთი დოყლაპიები ყოფილყვნენ. აქ, ეტყობა, სხვა რამე მოხდა. ეჟოვის შეცდომა აშკარად მოწმობს იმის შესახებ, რომ მისი სიტყვები ტროცკისტების კავშირების თაობაზე დასავლელ დემოკრატებთან იყო არა წინასწარ მომზადებული, არამედ იმპროვიზაცია. ეჟოვი არც ფიქრობდა, რომ მას მოუწევდა დასავლეთისკენ ხელის გაშვერა, მაგრამ სტალინმა აიძულა იგი ამისთვის. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა თქვა ფრანგებზე, მაგრამ სტალინელებს უნდოდათ პირველ რიგში ინგლისელები ყოფილიყვნენ ნახსენები. და აი, ეჟოვიც იძულებული იყო უმალვე გადაეკეთებინა ნათქვამი. ცხადია, რომ ადრე ამ მოხსენების განხილვის დროს სტალინისტებსა და რეგიონალებს შორის, დასავლელ დემოკრატებზე სიტყვაც არ ყოფილა თქმული. მემარცხენე კონსერვატორები ყველაფერს გერმანიისკენ ექაჩებოდნენ. მაგრამ სტალინმა მაინც გადაწყვიტა დაეკავშირებინა ერთმანეთთან ტროცკისტები და დასავლეთი პლენუმის მონაწილეთა შეგნებაში. ეს გაკეთდა მეტად მოხდენილად, ბიზანტიურად.

აღნიშნული „უხერხულობა“ მოწმობს იმის შესახებ, რომ ეჟოვი არ ყოფილა სტალინის აბსოლუტურად ყურის დამგდები. ის იძულებული იყო აგრეთვე რეგიონალების ინტერესებიც გაეთვალისწინებინა. ჯერ კიდევ პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფნის დროს ეჟოვი ცდილობდა გაეწია ერთგვარი სამსახური რეგიონალური „ბელადებისთვის“ – სტალინის დაუკითხავად. მაგალითად, 1936 წლის დასაწყისში დაეპატიმრეს კოსიორის ძმის – ვლადიმერის ცოლი. ვლადიმერი ოდესღაც ტროცკისტური ოპოზიციის აქტიური მონაწილე იყო და იმ დროს ცოლთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში. მან ძმას გაუგზავნა მრისხანე წერილი, რომელშიც ცოლის გათავისუფლებას ითხოვდა. საინტერესოა, რომ კოსიორმა იჩქარა ტროცკისტი ძმის დახმარება და სთხოვა ეჟოვს „მოეწესრიგებინა საქმე“. და მანაც დაიწყო „ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲐ“, როდესაც ამის შესახებ გაიგო სტალინმა. განრისხებულმა ბელადმა მოითხოვა „ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ“ შეწყვეტა. გამოდის, რომ ეჟოვი ბოლომდე არ ყოფილა სტალინის კაცი და ზოგჯერ თამაშობდა „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ“.

გასაგებია, რომ რატომ არ უნდოდა სტალინს წინასწარ შეთანხმებოდა ეჟოვს მის მოხსენებაში ცვლილების შეტანის შესახებ ტროცკისტების კავშირთან დაკავშირებით დასავლეთთან. ნიშანდობლივია, რომ 1937 წლის მოსკოვის პროცესზე განსასჯელებს მაინც მიაწერენ გერმანიასთან კავშირს. ცხადია, სტალინი ჯერ კიდევ ძალიან სუსტი იყო, რომ წარმატებით განეხორციელებინა თავისი „ᲐᲜᲢᲘᲐᲜᲢᲐᲜᲢᲣᲠᲘ“ ხაზი.

ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა აჩვენა პოლიტიკური ვითარების გამწვავება. მემარჯვენეებმა თავიანთი მართლაც ორპირული პოზიციით გააღიზიანეს ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით რეგიონალები. ამ უკანასკნელებმა, ძველი წესის შესაბამისად, დაიწყეს რევოლუციურ-დამსჯელი განწყობილების დაძაბვა, სთავაზობდნენ რეპრესიებს, როგორც ყველა პრობლემის გადაჭრის საუკეთესო მეთოდს. ნიშანდობლივია, რომ ახალი კონსტიტუციის შესახებ, რომელიც მაშინ საბჭოების VIII სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო, პლენუმზე თითქმის არავის არაფერი უთქვამს, თუმცა სტალინი ცდილობდა მომხდარიყო მისი აქტიური განხილვა. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის წევრებს კონსტიტუციისთვის არ ეცალათ, მათი გული კვლავ აღსავსე იყო მომავალი კლასობრივი ბრძოლების ჟინით. რას იზამ, ისინი ამ ბრძოლებს მალე მიიღებენ...

ᲗᲐᲕᲘ – 10

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲕᲐᲜᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ გაიმართა მოსკოვის მორიგი პროცესი, რომელზეც რადეკს, პიატაკოვს, სერებრიაკოვსა და „ტროცკისტებს“ ასამართლებდნენ. მისი შედეგები კომპრომისულ ხასიათს ატარებენ. მსჯავრი დასდეს სტალინელ რადეკს, მაგრამ სასამართლოს განსჯას თავი ვერ დააღწია ორჯონიკიძის კაცმაც – პიატაკოვმა.

თავად ორჯონიკიძისთვის საქმე ცუდად მიდიოდა. 1937 წლის დასაწყისში პარტიული ნომენკლატურა სტალინთან კავშირში აგრძელებდა შეტევას „მავნებლებზე“, ესე იგი სერგოზე და სხვა „ტექნოკრატებზე“. ბრძოლამ თავის გამწვავებას მიაღწია თებერვალში, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ. ორჯონიკიძეს შესთავაზეს მოემზადებინა განსაკუთრებული მოხსენება, მიძღვნილი მავნებლობისადმი. მან ეს გააკეთა, მაგრამ მავნებლობის თემა იქ საკმაოდ სუსტად იყო წარმოჩენილი. შედეგად მოხსენება სტალინმა სერიოზულად გაასწორა. ბელადი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პოლიტიკურ მომენტს, მოითხოვდა, რომ სახალხო კომისარი არ შემოფარგლულიყო მხოლოდ სამეურნეო საკითხებით.

თავის მხრივ ორჯონიკიძე კონტრიერიშს მიმართავს. ის თავის სახალხო კომისარიატს ავალებს ათი დღის განმავლობაში შეამოწმონ ის საწარმოები, სადაც მავნებლობამ თითქოს ყველაზე ფართო გაქანება მოიპოვა. მან სამი კომისია დანიშნა, რომლებმაც პრაქტიკულად უარყვეს მტკიცებანი მავნებლობის შესახებ.

არის აზრი, რომ პლენუმის წინა დღეებში ორჯონიკიძე ამზადებდა გამოსვლას, რომელიც „ᲛᲐᲕᲜᲔᲑᲚᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲘᲡ“ წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ასე იყო თუ არა, ამის დამტკიცება დღეს ძნელია. ორჯონიკიძემ პლენუმამდე ვერ იცოცხლა, და ჩვენთვის უცნობია, თუ რას იტყოდა იგი მასზე. შეუძლებელია სერგოს სიკვდილის ზუსტი მიზეზის დადგენაც. გაურკვეველია, საქმე ეხება თვითმკვლელობას თუ სახალხო კომისარს ამ ცოდვილი მიწის დატოვებაში დაეხმარნენ „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ“ ეჟოვის უწყებიდან. ნებისმიერ შემთხვევაში სერგოს გარდაცვალება განპირობებული იყო პოლიტიკური დაპირისპირების მკვეთრი გამწვავებით.

გზადაგზა ჯგუფები წყვეტდნენ თავიანთ პრობლემებს, პლენუმის წინა დღეებში ახორციელებდნენ სააპარატო მანევრებს.

მათი პირველი მსხვერპლი სკპ (ბ) აზოვ-შავი ზღვის სამხარეო კომიტეტის მდივანი შებოლდაევი (ცარიცინისთვის სახელის გამოცვლის ინიციატორი და ერთ-ერთი მთავარი შეთქმული „ᲑᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ“ ყრილობაზე) გახდა. ახალი 1937 წელი მისთვის მეტად სამწუხარო ამბით დაიწყო – უკვე 2 იანვარს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც შებოლდაევს ბრალი ედებოდა „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲡᲘᲑᲔᲪᲔᲨᲘ“. აღმოჩნდა, რომ მან მხარის პარტიული ორგანიზაცია დაანაგვიანა ყველა ჯურის ხალხის მტრებით. შებოლდაევი გადაიყვანეს უფრო დაბალ – კურსკის საოლქო კომიტეტის მდივნის პოსტზე.

ამ სააპარატო ოპერაციის ინიციირება სტალინის ჯგუფის მიერ მოხდა. სანამ ცენტრალური კომიტეტი მიიღებდა გადაწყვეტილებას შებოლდაევთან დაკავშირებით, მხარეში იმყოფებოდა ანდრეევი, ერთ-ერთი ყველაზე მყარი სტალინელი. მისი მოგზაურობის დროს გულდასმით გამოიკვლიეს სიტუაცია, რომელიც შეიქმნა რეგიონის უდიდეს ქალაქებში – როსტოვში, კრასნოდარში, ნოვოროსიისკში, ნოვოჩერკასკში, სოჭში. შემოწმებამ აჩვენა, რომ საქალაქო კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ავსებული იყო ტროცკისტებით. ახლა არ უნდა გვაინტერესებდეს – რამდენი პროცენტი იყო სიმართლე და რამდენი სიცრუე იმ დროისთვის ასე ტიპურ ამალგამაში. ცხადია ერთი – ბელადი ცდილობდა დაესუსტებინა ერთ-ერთი უდიდესი რეგიონალის პოზიცია, რომელსაც ანტისტალინური პოზიცია ეკავა.

რეგიონალური ლიდერების რეაქციამაც არ დააყოვნა. მაგალითად, 13 იანვარს ცენტრალურმა კომიტეტმა მკვეთრად გააკრიტიკა პოსტიშევი, და უკვე სამი დღის შემდეგ ის კიევის საოლქო კომიტეტის მდივნის პოსტიდან გადაიყვანეს უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი კუიბიშევის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელად. ამ გადაადგილებას ჩვეულებრივად სტალინის ვერაგობას უკავშირებენ, მაგრამ აქ ცხადად მოჩანს კოსიორის ვერაგობა. საქმე ისაა, რომ პოსტიშევი უკრაინაში გაგზავნეს მხოლოდ 1933 წელს, როდესაც იქ 1928 წლიდან ჩამოყალიბდა მეტად თბილი კომპანია თავად კოსიორის მეთაურობით. პოსტიშევთან ერთად რესპუბლიკაში ჩავიდა ახალ პარტიულ მუშაკთა ჯგუფი დაახლოებით 5 ათასი კაცის ოდენობით. თითქმის არც ერთ მათგანს არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია ე.წ. „ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ“. ეს იყო ცენტრის ეშმაკური ჩანაფიქრი – შეექმნა ამ რესპუბლიკის ძლიერი ხელმძღვანელობისთვის ძლიერივე დაპირისპირება. არსებითად, უკრაინაში პოსტიშევის ჩასვლასთან ერთად შეიქმნა ისეთი ორმმართველობა, რომელიც ასუსტებდა კოსიორსა და მის გუნდს. სტალინს უყვარდა თავისი მტრების იარაღის თავად მათ წინააღმდეგ შემობრუნება. და პოსტიშევმა უჩვენა კოსიორს, თუ რას ნიშნავდა გვერდით რეგიონალური ოპოზიციის ყოლა.

თავისთავად, სტალინს სულაც არ სჭირდებოდა თავს დასხმოდა პოსტიშევს უკრაინის სრულ და საბოლოო დამორჩილებამდე. აი კოსიორი კი ასეთ საჭიროებას განიცდიდა. ამას გარდა პოსტიშევის შეცვლა გახდა იმ ძალის დემონსტრაცია, რომელიც რეგიონალებს ჰქონდათ.

თუმცა სტალინმა ამ წარუმატებლობიდან გარკვეული სარგებელი ამოქაჩა. მან კიევში გაგზავნა კაგანოვიჩი ერთი დავალებით – შეხვედროდა ნიკოლაენკოს, სწორედ იმ კირკიტა ქალს, რომელიც დაზარალდა პოსტიშევის ცოლის კრიტიკის გამო. კაგანოვიჩმა დავალება შეასრულა და სტალინს აცნობა კეთილგანწყობილი შთაბეჭდილების შესახებ, რაც მასზე ნიკოლაენკომ მოახდინა. ამის შემდეგ სტალინურმა „ᲞᲝᲚᲘᲢᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲔᲑᲛᲐ“ მისგან რიგითი მასების ანტიბიუროკრატიული წინააღმდეგობის ერთგვარი სიმბოლო შექმნეს. შეიქმნა ახალი გმირის – „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ“ სახე, რომელიც არ ერიდება ცბიერ და ძლიერ მოწინააღმდეგეებთან სახიფათო ბრძოლაში ჩაბმას. ასეთი ადამიანის კულტს უნდა შეევსო სტალინის კულტი და შეეცვალა რეგიონალური ბელადების კულტი. თებერვალ-მარტის პლენუმზე სტალინმა ნიკიტენკოს მეტად დიდი დრო დაუთმო.

ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲠᲘᲕᲘᲗ მხარემ გაცვალა სრულწონიანი დარტყმები, მაგრამ მაინც ვერ დაანგრიეს თავიანთი ტაქტიკური კავშირი, მიმართული ორჯონიკიძისა და „ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲔᲑᲘᲡ“ წინააღმდეგ. ორჯონიკიძე „დროულად“ გაშორდა ცხოვრებას პლენუმის წინ. აი „ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲔᲑᲗᲐᲜ“ დაკავშირებით კი რაღაცის გადაწყვეტა იყო საჭირო. სავსებით ცხადი იყო, რომ ისინი დამარცხდებოდნენ მომავალ პლენუმზე, მაგრამ როგორი ფორმით მოხდებოდა ეს, ჯერ კიდევ უცნობი იყო. ამ ამბავთან დაკავშირებით სტალინსა და მემარცხენე კონსერვატორებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა.

მეორე თავში მე უკვე ვსაუბრობდი იმის შესახებ, რომ თავდაპირველად სტალინმა შესთავაზა პლენუმს, გაერიცხათ ბუხარინი და რიკოვი პარტიიდან, შემდეგ კი გაეგზავნათ გადასახლებაში. მაგრამ ეს წინადადება არ გავიდა – პარტიული ნომენკლატურული კლანების დიდი წინააღმდეგობის გამო. მაშინ სტალინი წავიდა ერთგვარ კომპრომისულ ვარიანტზე – მან შეიტანა წინადადება არ გადაეწყვიტათ ახლა „მემარჯვენეების“ ბედი, არამედ მოეწყოთ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოკვლევა, რაც გაკეთდა კიდეც.

უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმზე სტალინის ჯგუფი გამოვიდა, როგორც სკპ (ბ) „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ“ ფრთა, მაშინ როდესაც რეგიონალებმა, უმეტესწილად, გამოიჩინეს თავი, როგორც „ᲢᲝᲢᲐᲚᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ“ მომხრეებმა. ყველაზე ბოროტი სიტყვებით გამოვიდნენ კოსიორი, ეიხე, პოსტიშევი, სარქისოვი, შებოლდაევი, ვარეიკისი და სხვები. ეტყობა, მაშინ რეგიონალებს მოემხრნენ მემარცხენე მილიტარისტებიც. მათი წარმომადგენელი იაკირი მოითხოვდა ბუხარინისა და რიკოვის დახვრეტას. მილიტარისტები მიხვდნენ, თუ საით უბერავდა ქარი, და თავად დაიწყეს ორჯონიკიძის მეგობრებზე თავდასხმა.

და აი, რა არის საინტერესო. პლენუმზე ყველაზე ლიბერალური და ანტიტერორისტული მოსაზრებებით გამოვიდნენ სწორედ „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲝᲓᲘᲝᲖᲣᲠᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐᲜ“ – ეჟოვი და ვიშინსკი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ცდილობდა დაერწმუნებინა პლენუმი, რომ „მტრის ფრონტი“ „დღითი დღე“ ვიწროვდება. ახლა უკვე აღარაა მასობრივი დაპატიმრებებისა და გასახლების რაიმე აუცილებლობა, რასაც მიმართავდნენ კოლექტივიზაციის დროს. ეჟოვს კოლექტივიზაცია შემთხვევით არ უხსენებია. მან რეგიონალებს შეახსენა მათი საკუთარი უხამსობის შესახებ, რაც „განკულაკების“ დროს ხდებოდა. ის აღნიშნავდა, რომ ახლა უკვე აღარაა საერთოდ საჭირო მასობრივი რეპრესიები.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲠ“ № 14-65.

◎ წყალბურთი

ფინალის საგზური მოიპოვეს

წლეულს აგვისტოში გერმანული შტუტგარტი 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. სასიამოვნოა, რომ მოასპარეზეთა შორის საქართველოს ნაკრებიც იქნება. მთავარი მწვრთნელის რევაზ ჩომახიძის შეგირდებმა (ალექსანდრე ურუშაძე, ვალერი დავითური, ლევან ჩიქვინიძე, გიორგი ქარჩიავაძე, ნიკოლოზ შუბლაძე, სანდრო ხუციშვილი, გიორგი ქართველიშვილი, მერაბ გელაშვილი,



ირაკლი ფავლენიშვილი, ზურაბ გოჩიტაშვილი, გივი სულაძე, გიორგი ცანკაშვილი, ალექსანდრე ყაზახიშვილი, მწვრთნელი — ნოდარ ჩხარტიშვილი) ეს უფლება პოლონეთის ქალაქ გორჟუფში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირზე მოიპოვეს. ჩვენმა ბიჭებმა ქვეჯგუფში ინგლისელები დაამარცხეს 10:9, სლოვაკებს დანებდნენ 3:20, ბელარუსებთან კი ფრედ დაამთავრეს (5:5) შეხვედრა. ნახევარფინალური ორთაბრძოლა ბულგარელებთან წააგეს 4:9 და დასკვნით ეტაპზე გასასვლელად ბოლო შანსი გამოიყენეს — მასპინძლებს (პოლონელებს) 12:10 სძლიეს. გორჟუფში ფინალის კიდევ ორ საგზურს სლოვაკები და ბულგარელები დაეუფლნენ. ამ სამ გუნდთან ერთად შტუტგარტში ჩერნოგორიელები, სერბები, ხორვატები, უნგრელები, იტალიელები, ფრანგები, ესპანელები, ბერძნები, გერმანელები, რუსები, ჰოლანდიელები, თურქები და სლოვენიელები ითამაშებენ.

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

სმოლენსკთან მომხდარმა ტრაგედიამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარზეც ჰპოვა ასახვა — ჩვენს ქვეყანაში გამოცხადებული გლოვის დღის გამო გადაიდო გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის რუსთავის „ოლიმპისა“ და ერთ-ერთი აუტსაიდერის თბილისის „ლოკომოტივის“ მატჩი, რომელიც გლდანში, „ამერის“ სტადიონზე უნდა გამართულიყო. დანარჩენ შეხვედრებში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო, რაზეც შედეგები მეტყველებს.



მოგეხსენებათ, ხვალ დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალებია დანიშნული: „დინამო“ — „ცხინვალი“ (პირველი თამაში 0:0) და „ვიტ ჯორჯია“ — „მერანი“ (მარტვილი, 0:1), ამიტომ ბევრი ვარაუდობდა, რომ საპატიო ჯილდოსათვის მებრძოლნი ძალებს დაზოგავდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა: „დინამო“ — „სიონი“ 4:0, „ცხინვალი“ — „ბაია“ 2:0, „ვიტ ჯორჯია“ — „გაგრა“ 2:0, „ზესტაფონი“ — „სამტრედია“ 5:1.

საქმისადმი პროფესიულმა მიდგომამ ყველაზე უფრო ცხინვალელები დააზარალა, რადგან მათმა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ლადო ბურდულმა როინ ონიანთან წაკინკლავებისას ემოციები ვერ მოთოკა და მინდვრიდან გააძევეს, ეს კი, დებულების თანახმად, ხვალინდელი სათასო დუელის გამოტოვებას ავტომატურად ნიშნავს. თუმცა, ზოგზოგიერთთა ვარაუდით, ერთ დროს „ჯვაროსანთა“ ნახევარმცველმა მსაჯს შეგნებულად დასტყუა წითელი ბარათი, რათა თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ასპარეზობისთვის აერიდებინა თავი. ხომ გსმენიათ, ენას ძვალი არა აქვს, ამიტომ აღნიშნულ მოსაზრებასაც მივცეთ არსებობის უფლება.

* * *

იტალია. „რომა“ — „ატალანტა“ 2:1, „ფიორენტინა“ — „ინტერი“ 2:2, „მილანი“ — „კატანია“ 2:2.

ესპანეთი. „რეალი“ — „ბარსელონა“ 0:2, „მალიორკა“ — „ვალენსია“ 3:2, „მალაგა“ — „სევილია“ 1:2.

ინგლისი. „ბლექბერნი“ — „მანჩესტერი“ 0:0, „სიტი“ — „ბირმინგემი“ 5:1, „ლივერპული“ — „ფულჰემი“ 0:0.

◎ ძიუდო



„ილიადისის თასის“ ლაურეატები

ბერძნულ მუდიანიაში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასი გათამაშდა, რომელიც „ილიადისის თასის“ სახელითაა ცნობილი. ტურნირზე ქართველებმაც მოსინჯეს ძალები და წარმატებასაც მიაღწიეს: 4 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის მედალი — ასეთია ჩვენებურთა მონაგარი ელადაში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ჯაბა ჯიქურაული (55), ლაშა შავდათუაშვილი (66), ავთანდილ ჭრიკიშვილი (84) და არჩილ შინჯიკაშვილი (90), მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილზე გავიდა ირაკლი დგებუაძე (73), ხოლო თორნიკე თათარაშვილმა (60), ანზორ ხმიადაშვილმა (73), მიხეილ ნარიმანიძემ (100) და როსტომ ხახალეიშვილმა (+100) „ბრინჯაო“ იკმარეს.

◎ ჭადრაკი

ევროპა მოილიეს და მსოფლიოსთვის მოემზადებიან

გასულ უქმეებზე სალონიკში (საბერძნეთი) დამთავრდა მოჭადრაკეთა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. 17-წლიან ვაჟებში შესანიშნავად იასპარეზა ქუთაისის 21-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ზურაბ ჯავახაძემ, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ამავე ასაკში 7 ქულით ბრინჯაოს მედალი ხვდა მერი არაბიძეს. 15-წლიანებში თავი გამოიჩინა ანა შამათავამ, რომელმაც გოგონებში ყველას აჯობა. მასვე მეორე „ოქრო“ 14-წლიანებში გამარჯვებისთვის ერგო.



საგულისხმოა, რომ ევროპის ჩემპიონები — ჯავახაძე და შამათავა 23 ივლისიდან თურქეთში მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს.

საბერძნეთში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ალექსანდრე არსენიძემ გვაცნობა, რომ ჩვენი გოგო-ბიჭები შეჯიბრებაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით გაემგზავრნენ.

◎ რაგბი

ჰირჯული შეღავაში



საქართველოს მორაგბეთა წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში 8 გუნდი ჩაებბა. გასულ შაბათ-კვირას პირველი ტურის მატჩები გაიმართა. ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ლელომ“ უმაღლეს ლიგაში კვლავ აღზევებული „არმაზი“ დაამარცხა 34:12. „ვისოლი-ყოჩებმა“ ქუთაისის „აიას“ უმასპინძლეს. უშელავათო ბრძოლაში სტუმრებმა 22:15 იმარჯვეს. „ლოკომოტივმა“ „აკადემიას“ მოუგო 12:10, ხოლო „ბათუმმა“ „ხარებს“ აჯობა 26:17.

◎ მუნდიალ-2010

ჩემპიონატისკენ - უზარმაზარი თვითმფრინავით

ფეხბურთში წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატს მიეძღვნება პირველი კომერციული გადაფრენა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აერობუსისა A380.

6 ივნისს ის ფრანკფურტიდან გაფრინდება იოჰანესბურგისკენ. ამ ორბანიან თვითმფრინავზე იქნება გერმანიის ნაკრები. 525-ადგილიან თვითმფრინავში, რომელსაც შეუძლია 15 ათას კილომეტრზე დაუჯდომლად გადაფრენა, ფეხბურთელებისა და მათი თანმხლებლების გარდა, იქნება 150 პრივილეგირებული მგზავრიც.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იოჰანმ ლიოვის გუნდს ადაპტაციისათვის ექნება მთელი კვირა. გერმანული გუნდი ჩემპიონატზე სტარტს აიღებს 13 ივნისს დურბინიში ავსტრალიის ნაკრებთან შეხვედრით. რის შემდეგ ითამაშებენ პორტ-ელიზაბეთში 18 ივნისს სერბებთან და 23 ივნისს იოჰანესბურგში — განელებთან.

◎ ინტერნეტიდან

სიკვდილი მატჩის წინ



სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს სპორტულ არენაზე სიკვდილი თითქოსდა ჩვეულებრივ ამბად იქცა. თანაც ეს უბედურება ძირითადად ახალგაზრდებს ემართებათ. ასე დაემართა, მაგალითად, 2004 წელს უნგრელ ფეხბურთელს მიკლოშ ფეხერს, ხოლო 2008 წელს — რუს ჰოკეისტ ალექს ჩერეპანოვს. ცნობილია, რომ გულის პრობლემამ შეიწირა ცნობილი ფეხბურთელები მარკ-ვივიენ ფოე (2003 წ.), ანტონიო პუერტა (2007 წ.), ასევე დანი ხერკი (2009 წ.).

გასულ პარასკევს მათ რიცხვს მიემატა ყაზახეთის „ირტიშის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი რობერტ დე უუს დანიელი, მატჩის წინ ვარჯიშზე მან თავი ცუდად იგრძნო, ის სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ექიმებმა იქაც ვერ იხსნეს 28 წლის ფეხბურთელის სიცოცხლე.

ისევ და ისევ ჰოლიფილდი

შესაძლოა, კრივის ძალზე ახალგაზრდა გულშემატკივრებს არც კი ახსოვდეთ ის სკანდალური შეხვედრა — ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონი, მძიმეწონოსნები ევანდერ ჰოლიფილდი და მაიკ ტაისონი. სწორედ მაშინ იყო, სკანდალებით სახელგანთქმულმა „რკინის მაიკმა“ მეტოქეს ყურის ბიბილო რომ მოაჭამა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.



და აი, 47 წლის ჰოლიფილდი ისევ გამოჩნდა რინგზე — მან ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოტა და მოიპოვა WBF ვერსიის ჩემპიონის ქამარი. თუმცა ორთაბრძოლა თავიდან თითქოს 41 წლისბოტას უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა ჰოლიფილდმა თანდათან გაათანაბრა სიტუაცია და მერვე რაუნდში მეტოქე ნოკდაუნში გაგზავნა, რის შემდეგ მსაჯებმა მალე შეწყვიტეს მატჩი.

ვიქტორია ამღერდა

თავის გულშემატკივრებს ისევ ახარებს თავისი დიდებული მკერდით ძალზე ცნობილი შვედი მსახიობი, მოდელი და სამთო თხილამურების შეუმდგარი დედოფალი ვიქტორია სელვესტედი. თავისი მრავალფეროვანი ტალანტის გამოყენება გადაწყვიტა ქერა ლამაზმანმა მუსიკაშიც, მონაწილეობა მიიღო რა სადებიუტო სინგლში, თუმცა წარმატება მაინცდამაინც ვერ მოიპოვა.



ყოფილი სამთო მოთხილამურე იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს, ის სიამოვნებით უამბობს ყველას და ყველაფერს. მაგალითად, მან მოურიდებლად განაცხადა, რომ სექსს იქ ეწევა, სადაც მოუნდება, თუნდაც თვითმფრინავის ტუალეტში, ზღვაში, გემზე. თუმცა ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

გამოსათხოვარი

გიორგი თოთიბაძე

ქართულმა საზოგადოებამ მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, ცნობილი ფერმწერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი **გიორგი თოთიბაძე.**

გიორგი თოთიბაძე დაიბადა 1928 წლის 30 ოქტომბერს თბილისში. პირველად პატარა გოგი სამხატვრო გამოფენაზე 6 წლის ასაკში მოხვდა. სულ მალე მან დედის პორტრეტი დახატა, რომელიც მისი პირველი ნამუშევარი იყო.

1947 წელს გიორგი თოთიბაძემ წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და ბრწყინვალედ ჩააბარა სპეციალური საგნები თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

1953 წელს გიორგი თოთიბაძემ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის განყოფილება მხატვარ-ფერმწერის სპეციალობით. მისი სადიპლომო ნაშრომი „სამგორის ახალ მიწაზე“ მხატვრის პირველი შემოქმედებითი გამარჯვება გახდა. 1953-1954 წლებში იგი მუშაობდა თბილისის კინოსტუდიაში მულტფილმების შთავარ მხატვრად. ამის შემდეგ გ.თოთიბაძე თითქმის ერთი წელი სამხატვრო აკადემიაში ხატვის პედაგოგი იყო, ხოლო 1955-1958 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის კათედრაზე ასპირანტად ჩაირიცხა. მას 1965 წელს მიენიჭა დოცენტის, 1971 წელს — პროფესორის, ხოლო 1985 წელს — საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება. 1996 წელს ბატონი გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა.

10 წელი (1972-1982) გიორგი თოთიბაძე უნარიანად ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ქართველ მხატვართა სამჭედლოს — სამხატვრო აკადემიას და მრავალ შემოქმედებით სახელოსნოს.

ფართოდ არის ცნობილი გიორგი თოთიბაძის მაღალი ოსტატობით შექმნილი მრავალფიგურიანი თემატიკური კომპოზიციები, გამოჩენილ პიროვნებათა პორტრეტები, საქართველოს სხვადასხვა მხარეში შესრულებული პეიზაჟები.

მხატვარი ბევრს მოგზაურობდა, აკვირდებოდა გარე სამყაროს, ადამიანებს, რომლებიც მას ხვდებოდნენ. გ.თოთიბაძე დიდ ინტერესს იჩენდა ადამიანის შინაგანი და სულიერი სამყაროსადმი, ყოველთვის ცდილობდა მხატვრობის საშუალებით განესახიერებინა ცხოვრების მრავალფეროვნება. მთელი მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დიდი ინტერესი თანამედროვეობისადმი, ზუსტი, რეალისტური ნახატი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი ცნობილი ტილოები: „რუსთავის მეტალურგები“, „კახელი მევენახეები“, „მეჩაიეები“ და სხვ. კახეთში მრავალჯერ მოგზაურობის შედეგად მან შექმნა შესანიშნავი ტილოები: „თამადა“ და „მრავალუამიერი“, რომლებიც ტრეტიაკოვის (მოსკოვი) გალერეის მუდმივ ექსპოზიციაშია.

გიორგი თოთიბაძის მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები დღეს მრავალ სამუზეუმო და საგამოფენო დარბაზებს, კერძო კოლექციებს ამშვენებს: „ოთარ ჭილაძე“, „გურამ ასათიანი“, „ნიკო მუსხელიშვილი“, „ივანე ბერიტაშვილი“, „ილია ვეკუა“, „ევგენი ხარაძე“, „გიორგი ნიკოლაძე“, „ლადო ასათიანი“ და სხვ.

ცნობილია მისი გრაფიკული ტილოები: „გაზაფხული თბილისში“, „შემოდგომა ვერაზე“, „მეტეხის პლატო“ და სხვა, რომლებიც გამსჭვალულია ბუნებისა და მშობლიური მხარისადმი სიყვარულით, სითბოთი და ლირიზმით.

გარდა აღნიშნულისა, მხატვრის მიერ შექმნილია ილუსტრაციები წიგნებისათვის, მულტიპლიკაციები და სხვ.

მრავალი წლის განმავლობაში გიორგი თოთიბაძე წარმატებით წარმოაჩენდა ქართული ფერწერული სკოლის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

ბატონი გიორგი გამოირჩეოდა მაღალი ერუდიციითა და პროფესიონალიზმით, დიდი ინტელიგენტობით. იგი იყო თავის ქვეყანასა და ხალხზე შეყვარებული სამაგალითო ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, თბილისის მკვიდრი, რომელმაც თავისი შემოქმედებით და ნიჭით შექმნილი მდიდარი მხატვრული ნამოღვაწარი დაუტოვა ქვეყანას და ქართველ ხალხს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გიორგი თოთიბაძე

81 წლის ასაკში გარდაიცვალა **გიორგი თოთიბაძე** — სამშობლოს გულანთებული მოსიყვარულე და უერთგულესი შვილი, ქართული კულტურის ამაგდარი შემოქმედი, ქართველი მხატვრების ორმოცდაათიანელთა თაობის გამორჩეული წარმომადგენელი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.



წავიდა ჩვენგან ღვთივბოძებული ნიჭით უხვად დაჯილდოებული, ფართო ერუდიციისა და მეამბოხე სულის მხატვარი, უზადო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე... წავიდა დიდი კაცი. გოგი თოთიბაძემ რაინდული ცხოვრებით იცხოვრა, ალალად და უანგაროდ ემსახურა სამშობლოს და მის თავდადებაში გახარჯა სიცოცხლე. თუ მხატვრის შემოქმედების წარუშლელ კვალს ავედევნებით, ვნახავთ, რა ჰარმონიულად გრძნობენ თავს მის ნაშრომ-ნაღვაწში შეუცნობელი ბატალური სცენები და ოსტატის ხელს დამორჩილებული ფსიქოლოგიური პორტრეტები, სულის აღმძვრელი ნატურმორტები და ოცნებაში გაზავებული ლანდშაფტური პეიზაჟები. ყოველივე ეს გოგი თოთიბაძის მკაცრად მოწესრიგებული ფერწერულ-მუსიკალური ორკესტრია. იგი მუსიკასავით აჟღერებული მრავალშრიანი კომპოზიციების დიდოსტატია. მისი კლასიკური ჟანრის ფერწერული ტილოები პოეზიაცაა და მუსიკაც — ულერადი, ესთეტიკური და ემოციური, ზეთის საღებავებით ნაძერწი საოცრად პლასტიკური ფორმებით. ამიტომაცაა, რომ მისი ფერწერა და გრაფიკა ერთნაირად ეფინებიან თვალსაც და ყურსაც. მან თავისი ნაწარმოებებით დაგვანახა ჩვენი ცხოვრების ტკივილიცა და სიხარულიც, და, რა თქმა უნდა, თვით ავტორის შემოქმედებითი კულტურის მაღალი დონე. იგი, ღვაწლმოსილი მხატვარი და საჩინო კაცი, მისაბაძი ხელმძღვანელი და დამრიგებელი იყო — სამხატვრო აკადემიის მრავალწლიანი რექტორობისას არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკვალა გზა, გზა დიდი ხელოვნებისაკენ.

გოგი თოთიბაძემ ღირსეულად იარა უკვდავებაში დამკვიდრებული ცასშეკიდულ წინაპართა სულებით შუქმოფენილი გზით და დღეს ამ კაშკაშა თანავარსკვლავედს მისი სულიც შეერია, ვითარცა ლამპრად ანთებული სახელი. იგი თავანკარა ნიჭის დიდოსტატის შარავანდით გაბრწყინებული რჩება ჩვენს მეხსიერებაში. მან დაგვიტოვა უსაზღვრო ტკივილი, სევდა და მონატრება, თან კი წაიყოლა საქართველოს სიყვარული და დარდი.

განუსვენე უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა და ნათელში ქმენ სული მისი ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის სახელით:
დემურ ბაშელეიშვილი, მერაბ მერაბიშვილი, ზურაბ ლეჟავა, ლევან მხეიძე, თამაზ ნათიძე, კიაზო ნახუცრიშვილი, ვლადიმერ კანდელაკი, ვალერიან ტოზაშვილი, რემი კაციტაძე, სერგო კენჭაძე, ზაქარია თელია, გოგი თოფაძე, გოგი ჩახუნაშვილი, იგორ დოლიძე, ვაჟა გვანცელაძე, თენგიზ მეძმარიაშვილი, სულხან ძემოკლიძე, კონსტანტინე ჩახუნაშვილი, სერგო ჯაიანი, იოსებ სამხარაძე, ლევან ჭაჭიაშვილი, ალექსანდრე ლაბარტყავა, მურმან თავდიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, მერაბ ცინცაბაძე.



გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი **გოგი თოთიბაძე**, საქართველოსა და რუსეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. წლების მანძილზე იყო სამხატვრო აკადემიის რექტორი, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მრავალგზის მონაწილე იყო საერთაშორისო გამოფენებისა. მიღებული აქვს დიპლომები და ოქროს მედალი. დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით. მისი ნამუშევრები დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და კერძო კოლექციებში — შვეიცარიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში და რუსეთში.

გულისტკივილით ვეთხოვებით სასიქადულო მამულიშვილს, დიდ მხატვარსა და ჭეშმარიტ მოქალაქეს, რომელმაც ქართულ ხელოვნებას, თავის ხალხს დიდი განძი დაუტოვა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე მერაბ ბერძენიშვილი

საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გიორგი (გივი) თოთიბაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ხსოვნა

ვარლამ საგანელიძე



ქ. თბილისის ს/ს საზოგადოება „სტომატოლოგის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა **ვარლამ (კვანწო) საგანელიძე.** კაცი, რომელიც ჩუმად, მშვიდად დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში.

ყველას მიმართ უწყინარი, მოსიყვარულე, სათნო, ყველასთვის იმედის და ნუგეშის მიმცემი.

უღალატო მეუღლე, დიდებული შვილი და მამა, მოსიყვარულე ბაბუა და განუმეორებელი წევრი კოლექტივისა, სადაც იმუშავა 40 წელი. ასეთი პიროვნება დაკარგეს თანამშრომლებმა და მეგობრებმა.

ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი ჩვენო კვანწო. ჩვენს გულებში მარად იცოცხლე.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

ეთერ სოლომონის ასული ხუფაცარია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები მიხეილ, ჯემალ, გიზო, მაგული, ქეთევან კუხალაშვილები, დები ვერიკო, ლილი, ვასასი ჩაკვეტაძეები, მულები ფატი, თინა კუხალაშვილები ოჯახებით, რძლები ლილი კვინიკაძე, ნუნუ მაჭანკალაძე, მერი შათირიშვილი, სიძეები ამბერკ ტაბიძე, დავით ჩიხრაძე, შვილიშვილები გოჩა, ხათუნა, ლაშა, ნინო, თაკო, დავით, ლევან კუხალაშვილები, ჟანა, თენგიზ ტაბიძეები, ირინა, სოფო ხითარიშვილები ოჯახებით, ბაქარ ჩიხრაძე, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სონია ჩაკვეტაძე-კუხალაშვილი

პანაშვიდი 13, 14 IV, 17 სთ. გამოსვენება 15 IV, 14 სთ. მისამართი: ქ. ხონი, წერეთლის ქუჩა №19.

ვალერი ასათიანი ოჯახით იუწყება უძვირფასესი და უსათნოესი ქალბატონის

სონია ჩაკვეტაძე-კუხალაშვილის

გარდაცვალებას.

სახალხო კონტროლის ყოფილ მუშაკთა მეგობრობის კავშირი თანაუგრძნობს გიზო, ჯემალ და მიხეილ კუხალაშვილებს დედის

სონია ლავრენტის ასულ კუხალაშვილის

გარდაცვალების გამო.

გივი აბდუშელიშვილი, გივი აბზიანიძე, მერაბ ახობაძე, გიზო ბაქანიძე, ჯემალ ბერიძე, გურამ გაბუნია, თამაზ გაბუნია, თემურ თოფურიძე, ომარ კაჭარავა, ზაურ მესხიშვილი, გიორგი სალუქვაძე, გრიგოლ შონია, გიორგი ცინცაძე, გივი ჯაფარიძე თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ჯემალ კუხალაშვილს დედის

სონია ჩაკვეტაძე-კუხალაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილი გიორგი, დედა იამზე, მამა ვასო, და ნონა, ძმა აკაკი (კახა), რძლები თათია ნადირაძე, ია ქვრივიშვილი, შვილიშვილი ანასტასია, მამიდა ნუცა, დეიდა გულნაზი ქარდავა-ნავერიანი, ბიძები ბონდო, კოტე სამუშიები, გენო ქარდავა, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან

თამაზ ვასოს ძე სამუშიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 IV, მის. ქ. ზუგდიდი, ბორის პაიჭაძის ქ. №51, გამოსვენება 15 IV, 15 სთ. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძრიდან, ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქუჩა (მე-8 საშუალო სკოლასთან.)

ბონდო, ნუცა, კოტე სამუშიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ძმისწულის

თამაზ ვასოს ძე სამუშიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აღმასრულებელი დირექტორის ბატონ კოტე სამუშიას ძმისწულის

თამაზ ვასოს ძე სამუშიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ნანი, ბაია სხირტლაძეები მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის

გურამ შარაბიძის

გარდაცვალებას.

თამაზ ებანოიძე ოჯახით იუწყება

გურამ შარაბიძის

გარდაცვალებას.

ირაკლი, თემურ ანდრიაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოგი კულუა

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მეუღლე ნინო, შვილები მანანა, თამარი, დები მანანა, ლიანა, ბიძა ადერკინი ოჯახით, სიძე მიხეილ ჯანიკაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კობა გერმანეს ძე კოპლატაძე

პანაშვიდი 13, 14 IV, მისამართი: ყაზბეგის გამზირი 25ა, მე-3 სადარბაზო. გამოსვენება 15 IV, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი

კუკური (კობა) გურული

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

დაინჯესტი

ბრავო, მაესტრო, ბის!

„ფუნთუშების ცეკვა“ – დიდი ჩარლი ჩაპლინის პანტომიმის ხელოვნების ჭეშმარიტი შედევრია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამქირავებლები ამ ფრაგმენტს კიდევ ერთხელ, „ბისზე“, ფილმის

ბოლოსაც აწებებდნენ ხოლმე, რაც მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიაში დღემდე ერთადერთ პრეცედენტად რჩება.

ალზრდის ,ესკიმოსური მეთოდი

ეს ხალხი ბავშვებს სრულ თავისუფლებას აძლევს. ჯერ კიდევ არასაკმარისად გონიერ პატარებს ყველაფრის გაკეთების უფლება აქვთ, რაც კი მოესურვებათ. ქალებს, როგორც წესი,

სამ-ოთხი შვილი ჰყავთ და, როგორც წესი, კაპიუშონში მუდამ ჩვილი უზით. არსებითად, ბავშვები საერთოა: ქალებს ხშირად ორ-ორი ქმარი ჰყავთ და თუკი რომელიმეს მეტი შვილი აღარ უნდა, რომელსაც ჯერ კიდევ მუცლით ატარებს, მას თავისი არჩევანით მისი ნებისმიერისთვის ჩუქება შეუძლია, ხოლო იმას უარის თქმის უფლება არა აქვს. აღზრდის ერთადერთი მეთოდია დაცინვა. ესკიმოსებს ძალიან არ მოსწონთ, როცა დასცინიან და ქვეყანაზე ყველაზე მეტად თავის სასაცილოდ აგდებისა ეშინიათ.

„ვაშლის ბოტივით ავფეთქდები...“

უჩვეულო, ყველასგან გამორჩეული ვაშლის ხეხარობს რუმინეთის სამხრეთ-დასავლეთით ტირნავაში მცხოვრები იონ ნიკის ბაღში. ორმოცი წლის ხემ, შარშან, „საიუბილეოდ“, პატრონს გასაოცარი ნობათი მიართვა და ერთის მაგივრად ორი უხვი მოსავალი მოუტანა. მათგან პირველი ზაფხულში მოიწია, მეორე – ნოემბერში. ეგ კიდევ არაფერი: შემოდგომის მიწურულს იგი... მესამედ აყვავდა და, ალბათ, რომ დასცლოდა, კიდევ ერთ მოსავალს მისცემდა პატრონს, რომ არა ამ ადგილებისთვის და, მთლიანად სამხრეთ ევროპისთვის უჩვეულოდ ნაადრევი ყინვები არ დაწყებულიყო.

გასაოცარი მეგობრები



„სიცოცხლის ერთი დღე თუ დაგრჩენია – ნეტავ ცხენი გყავდეს, თუ ორი დღე დაგრჩენია – ნეტავ ცოლიც გყავდეს“, – ესაა ძველი თურქმენული თქმა.

XIX საუკუნის ცნობილი მოგზაური ალბერ ვამბერი წერდა: „მადლია ამ ულამაზეს ცხოველებზე დახარჯული ყველა შრომა... უდაბნოს მამაცი შვილებისთვის კი ეს გასაოცარი ცხოველები ნამდვილი მეგობრები არიან, რომლებიც ცოლებსაც, შვილებსაც, საკუთარ სიცოცხლესაც კი ურჩევნიათ“.

დღის კალენდარი — 13 აპრილი

მიცვალებულთა ხსენება (აღინიშნება თომას კვირის შემდეგ სამშაბათს). მღვდელმოწამისა იპატისა, ღანგრელი ეპისკოპოსისა (დაახლ. 326); მღვდელმოწამეთა: ავდასი, სპარსელი ეპისკოპოსისა და ბენიამენ დიაკონისა (418-424); ღირსისა იპატისა, რუფიანელი იღუმენისა (დაახლ. 446).

დაიბადნენ:

1886 – სანდრო ახმეტელი, რეჟისორი, გარდაიცვალა 1937 წელს.
1887 – გიორგი ახვლედიანი, ენათმეცნიერი, გარდაიცვალა 1973 წელს.
1935 – მიხაილ გასპაროვი, აკადემიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი.
1941 – მაიკლ ბრაუნი, ამერიკელი გენეტიკოსი.
1963 – გარი კასპაროვი, მოჭადრაკე.

გარდაიცვალნენ:

1605 – ბორის გოდუნოვი, რუსი მეფე 1584-1598 წლებში.
1695 – ჟან ლაფონტენი, ფრანგი მეიგავე.
1966 – აბდულ სალამ არიფი, ერაყის პრეზიდენტი.
1971 – სერგო ზაქარიაძე, ცნობილი მსახიობი.

მოვლენები:

1598 – საფრანგეთის მეფე ჰენრიხ მეოთხემ ხელი მოაწერა ნანტის ედიქტს, რითაც დასრულდა საფრანგეთის რელიგიური ომები.
1917 – რუსეთში ემიგრაციიდან 37 წლის შემდეგ დაბრუნდა გიორგი პლეხანოვი.
1962 – ჯგუფ „ბითლზების“ პირველი გამოსვლა „სტარ კლუბში“
1997 – ჩრდილოეთ აფრიკაში თოვლი მოვიდა

ღირსსახსოვარი დღე:

ტაილანდი – სონგრანის დღე.

მედიანიუსი

რედაქცია „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

1 აშშ	– 1.7499 ლარი
1 ევრო	– 2.3302 ლარი
1 გირ. სტ.	– 2.6628 ლარი
100 რუბლი	– 5.9520 ლარი
1000 სომ. დრამა	– 4.3636 ლარი
1 აზ. მან.	– 2.1778 ლარი
10 უკრ. გრივნა	– 2.2083 ლარი
1 თურქ. ლირა	– 1.1643 ლარი
10 ჩინ. იუანი	– 2.5643 ლარი

ამინდი დღეს

თბილისი.	+8 – +16
ქუთაისი.	+2 – +8
ბათუმი.	+5 – +9
ზუგდიდი.	+3 – +8
თელავი.	+7 – +13

ანეკდოტები

დღევანდელი გოგოები ზაფხულში ისე გამოიყურებიან, რომ კომუნისტების დროს ასეთი ფოტოსთვის ციხეში სვამდნენ.

* * *

– ერთი ამ შენს დეგენერატ შვილს აუხსენი სიტყვა „ფორმალურის“ მნიშვნელობა, – ეუბნება ცოლი ივანიჩს.

– მედვედევისა და პუტინის მაგალითზე შეიძლება?

* * *

ამ კატების საგაზაფხულო ამძუვნებამ შემიკლა ხელში, სულ კნავიან და კნავიან, არ მაძინებენ! ისე გამამწარეს, ერთხელ ძაღლებიც კი მივუსიე...

– მერე რა ქნეს კატებმა?

– ეშმაკსაც წაუღია კატები! ლეკვები ხომ არავის უნდა?

* * *

ორი ტიპი სასტუმროში ლოთობს. ერთი ამბობს:

– ხედავ/იმ შტეფსელს? მასში ალბათ მიკროფონია ჩამონტაჟებული. მოდი, ერთი ფეხსაცმელი ჩავცხოთ, რომ ვიღაცას ყურის ბარაბნები დავუხეთქოთ!

– მე შენ განახებ ჩაცხებას! – გაისმა შტეფსელიდან.

კადრი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოჩულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.